პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 21 ნოემბერი 1935 წ.
№ 269 (4425)

დღეს ნომერში:

- — სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა სოფლად (მეთაური).
- — ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველ საკავშირო თათბირზე.
- — ამხ. ა. მიქოიანის სიტყვის დასასრული.
- — ამხ. პ. პოსტიშევის სიტყვა.
- — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილება საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების შესახებ.
- — იტალია - აბისინიის ომი.
- — იაპონიის საზღვაო ხელისუფალთა თათბირი.
- — იასნაია პოლიანაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა სოფლად

ამხანაგი სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამბობდა „რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მძლავრად სჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ — გაშლილი საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის“.

მთელ საბჭოთა ქვეყანას, კერძოდ საქართველოს, უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის დარგში. 1935 წლის იანვრიდან გაუქმდა საბარათო სისტემა პურზე, ხოლო პირველი ოქტომბრიდან — ყველა სასურსათო საქონელზე. საგრძნობლად შემცირდა და მცირდება სასურსათო საგნების ფასები. საბჭოთა მომხმარებელი საქონელს ყიდულობს იქ, სადაც უფრო კულტურულად ვაჭრობენ, სადაც მოიპოვება მაღალი ხარისხის პროდუქტები და სისტემატურად იშოვება ისინი.

სოციალიზმის მშენებელი მშრომელი საბჭოთა მანეთით ეკონომიურ ზეგავლენას ახდენს სავაჭრო აპარატზე: იგი ამჟღავნებს უნიათო ხელმძღვანელებს, რადგანაც ძველი მეთოდით, ვაჭრობის ძველი წესებით — მომხმარებელთა მოთხოვნილების უგულებელყოფით — საქონელბრუნვის გეგმის შესრულება უკვე შეუძლებელი ხდება.

კულტურული ვაჭრობის, გაშლილი საქონელბრუნვის დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, საგრძნობლად მოიკოჭლებს საბჭოთა ვაჭრობის ქსელი სოფლად.

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 29 სექტემბრის დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაზე სოფლად“ წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის გაშლილი ვაჭრობის საბრძოლო პროგრამას. იგი ჰქმნის პირობებს სოციალისტური სოფლის გაზრდილ მატერიალური და კულტურული მოთხოვნების სავსებით დაკმაყოფილებისათვის.

სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნა მთავრობისა და პარტიის დადგენილების მიხედვით უკვე დაიწყო. ჩვენში, საქართველოში, კოოპერაციის ქსელის გარდაქმნა სოფლად უნდა დამთავრდეს 10 დეკემბრისათვის.

საქართველოში სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების მაღაზიათა მნიშვნელოვანი ნაწილის საშუალო თვიური ბრუნვა პირველი ოქტომბრისათვის არ აღემატებოდა 3 ათას მანეთს. მეტ წილად სოფლის კოოპერაციის მაღაზიებიც არარენტაბელური, მოუწყობელი და უსუფთაოა. რთული ასორტიმენტის საქონელი (მანუფაქტურა, ფეხსაცმელი) იქსაქსება წვრილ, მოუწყობელ წერტებში და მომხმარებელს საშუალება არა აქვს აირჩიოს მისთვის საჭირო საგნები. ხშირად სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიაში არ მოიპოვება ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი: ნავთი, საპონი, მარილი, შაქარი და სხვა. სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების მაღაზია თუ არარენტაბელურია, უნდა დაიკეტოს!

ამიერიდან სოფლად უნდა იყოს სპეციალური სახის, სპეციალური ტიპის დუქნები. სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას ექნება ერთი მეთაური მაღაზია ცენტრში, გამგეობასთან, დანარჩენი კი — შორეული წერტები, ხოლო რაიონებსა და მსხვილ სოფლებში იქნება სოფმაღები და უნივერმაღები.

სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების თვითეული შორეული წერტისათვის დაწესებულია ყოველდღიური მოხმარების, პირველი საჭიროების, საქონლის მრავალფეროვანი მუდმივი ასორტიმენტი. სავალდებულო ასორტიმენტი დუქნისათვის კანონია და ამიტომ წერტში ყოველდღე უნდა მოიპოვებოდეს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სოფლის მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

რთული ასორტიმენტის საქონლით — მანუფაქტურით, ფეხსაცმელით, ტრიკოტაჟით, შეკერილი ტანისამოსით — ივაჭრებენ სოფმაღები და უნივერმაღები. სოფმაღები ივაჭრებენ აგრეთვე სასურსათო პროდუქტებითაც. ამიერიდან კოლმეურნეს ეცოდინება, რომ სოფლის კოოპერაციის მეთაურ დუქანში და შორეულ წერტში შეუძლია იყიდოს მხოლოდ აუცილებელი მოხმარების საგნები. მშრომელი მანუფაქტურას, ფეხსაცმელს ყოველდღე არ ყიდულობს. როდესაც ეს საქონელი დასჭირდება, მას შეეძლება შეიძინოს იგი უნივერმაღში, სოფმაღში, იქ სადაც მრავალფეროვანი ასორტიმენტი იქნება.

სავალდებულო ასორტიმენტის დაწესებით დიდად იზრდება დუქნის გამგის, სასოფლო კოოპერაციის და რაიკავშირის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა. მათ უნდა უზრუნველყონ მეთაური დუქნების და შორეული წერტების სისტემატური მომარაგება აუცილებელი ასორტიმენტის დაწესებით. მეთაური დუქნების და შორეული წერტების საქონელბრუნვა არ შემცირდება, პირიქით, იგი გაიზრდება. სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნა სოფლად ვაჭრობას გამოიყვანს გაშლილი საქონელბრუნვის ასპარეზზე.

დუქანი და შორეული წერტი სასოფლო კოოპერაციის ქსელის გადამწყვეტი რგოლია. ამიტომ დაწვრილებული და არარენტაბელური ზედმეტი ამხანაგობების და დუქნების შეერთების დროს მათ საუკეთესო მომუშავენი უნდა მივცეთ.

სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების დუქანი და ს. ვაჭრო უნდა გადაიქცეს კულტურული ვაჭრობის ნიმუშად. სოციალისტური სოფლის მშრომელების მოთხოვნილებაა სავაჭრო დუქნის კულტურულად მოწყობა და სისუფთავის დაცვა. სასოფლო კოოპერაციის ქსელის მუშაობის გარდაქმნამ ესეც უნდა უზრუნველყოს.

სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში ის ახალ ეპოქას ჰქმნის. სამომხმარებლო კოოპერაცია წარმოადგენს საქონლის ძირითად გამტარებელს სოფელსა და ქალაქს შორის.

სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნა ჩვენი ღვიძლი, ბოლშევიკური საქმე. რაიონის პარტორგანიზაციებმა და რაიკავშირის გამგეობებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი ამ გარდაქმნის წარმატებით განხორციელებისათვის. სოფლად საქონელბრუნვის გაშლის საქმე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, „წარმოადგენს იმ მორიგ და ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელად ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა“. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს.

მანდარინის დამზადება

დამზადებულია 35.115.000 ცალი მანდარინი

სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადების კომიტეტის 20 ნოემბრის ცნობებით

	დამზადების გეგმა	დამზადებულია ცალით	გეგმის შესრულება პროცენტებში
აჭარისტანის ს.ს.რ.	120.000.000	28.298.000	23,6
აფხაზეთის ს.ს.რ.	11.000.000	3.057.000	27,8
მახარაძის რაიონი	15.000.000	3.100.000	20,7
ლანჩხუთის რაიონი	3.000.000	200.000	6,7
ფოთის რაიონი	1.000.000	154.000	15,4
ზუგდიდის რაიონი	600.000	108.000	18,0
ჩოხატაურის რაიონი	400.000	—	—
ცხაკაიას რაიონი	350.000	198.000	56,8
სულ საქართველოში	150.000.000	35.115.000	23,4

ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადების კომიტეტის ცნობით, საქართველოში 1 ნოემბრისათვის ნედლი ხილის (ვაშლი, მსხალი და სხვ.) დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებული იყო ვადამდე თვენახევრით ადრე 102,2 პროცენტით.

15 ნოემბრისათვის ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით.

დამზადება გრძელდება.

26 კომუნარის რაიონის სტახანოველთა შეკრება

გუშინ, 20 ნოემბერს, შესდგა 26 კომუნარის სახელობის რაიონის სტახანოველთა შეკრება, რომელსაც დაესწრო 40 კაცი. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. კარანაძე.

— ჩვენი რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში — განაცხადა ამხ. კარანაძემ — თავიდანვე მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სტახანოველთა მოძრაობას. ამიტომ თანდათან იზრდება მათი რიცხვი. 10 ნოემბრისათვის ჩვენ გვყავდა 46 სტახანოველი, ხოლო 20 ნოემბრისათვის გვყავს 91 სტახანოველი. ჩვენი რაიონის პირველი სტახანოველია გ. კველაშვილი, რომელიც მუშაობს ბრიგადირად ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში. პურის ქარხნის მუშა კრაკოზაშვილი წინათ 385 ტომარას ავსებდა ფქვილით, ახლა კი ავსებს 800 ტომარას. ასევე წარმატებებს მიაღწიეს ეგიკიანმა, საიკოვამ, რაზმაძემ, თოფურიამ და სხვებმა.

კარანაძის მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ კველაშვილი, ამირგულოვი, არუთინოვი, მურადოვი, ნათელაშვილი, ტანდრეევი და სხვ. შეკრება ჩატარდა დიდი ენტუზიაზმით.

იაპონიის საზღვაო ხელისუფალთა თათბირი

ტოკიო, 16 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ შანხაიში შესდგა იაპონიის საზღვაო ხელისუფალთა თათბირი იაპონიის ფლოტის მესამე ესკადრის სარდლის ხია ოიკავას მონაწილეობით. თათბირმა აუცილებლად მიიჩნია ახალი ზომების მიღება შანხაის უკანასკნელი ინციდენტების მოსაგვარებლად. თათბირმა გადასწყვიტა განიხილოს ეს საკითხი იაპონიის ელჩ (ჩინეთში) არიოსთან ერთად და გამოითხოვოს ინსტრუქციები ტოკიოდან.

„ნიცი - ნიცის“ სიტყვით თათბირმა სცნო, იაპონელი მეზღვაურის მანაკაიამას მკვლელობა და სხვა ინციდენტები მოწმობენ, რომ ნანკინის მთავრობა იაპონიის წინააღმდეგ ფარულ მუშაობას ეწევა. ამიტომ აუცილებელია „გადაისინჯოს ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთობა და იგი ახალ რელსებზე იქნას დაყენებული“. ბეიპინისა და ტიანძინის იაპონელი კორესპონდენტები განაგრძობენ მტკიცებას, რომ ჩან კაი-შიმ მტკიცედ გადასწყვიტა თუ საჭირო გახდება, სამხედრო ძალით დათრგუნოს „მოძრაობა ჩრდილოეთ ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის“. ამიტომ მათი სიტყვით ჩან კაი-შიმ ხებეისა და შანდუნის პროვინციათა საზღვრებზე თავი მოუყარა 7 დივიზიას, რათა ზეგავლენა მოახდინოს ხან ფუ-ცუზე და სუნ ჩე-იუანზე. „ასახის“ და სიმბუნ რენგოს სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იაპონელი ხელისუფალნი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ნანკინის მთავრობის გეგმებს და მიიღებენ ზომებს „ჩრდილოეთ ჩინეთში სამხედრო მოქმედების“ თავიდან ასაცილებლად. (ადს).

ლონისძიებანი იტალიის საქონლის ბოიკოტის განსახორციელებლად

ჟენევა, 16 ნოემბერი. ინგლისის მთავრობამ აცნობა ერთა ლიგას, რომ იგი ღებულობს შემდეგ კონკრეტულ ზომებს იტალიის საქონლის ეფექტური ბოიკოტის მიზნით:

1. ინგლისის მთავრობა მოითხოვს სერტიფიკატებს ყველა იმ საქონლის არაიტალიური წარმოშობის შესახებ, რაც კი შემოაქვთ ინგლისში იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც არ უკისრიათ ვალდებულება ბოიკოტი გამოუცხადონ იტალიის ექსპორტს, აგრეთვე იტალიის მომიჯნავე ქვეყნებიდან, ან ისეთი საქონლის შესახებ, რომელიც იტალიამ ადვილად შეიძლება გაიტანოს. მთავრობის ცნობაში დასახელებულია გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, შვეიცარია და ლიხტენშტეინის სამთავრო.

2. ინგლისში დაშვებული იქნება იტალიის მხოლოდ ის საქონელი, რომელიც გამოიგზავნა 17 ნოემბრის 24 საათამდი (ადს).

იტალიის მოლაპარაკება ახალ სავაჭრო შეთანხმებათა დადების შესახებ

ვენა, 19 ნოემბერი. გაზეთების სიტყვით, იტალიის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ახალ სავაჭრო შეთანხმებათა დადების შესახებ იმ ქვეყნებთან, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ სანქციებში, კერძოდ, შვეიცარიასთან და უნგრეთთან. უახლოეს დროში დაიწყება მოლაპარაკება ავსტრიასთან.

იტალიის მთავრობამ აკრძალა ყველა იმ გაზეთებისა და ჟურნალების შეტანა იტალიაში, რომლებიც სანქციების მონაწილე ქვეყნებში გამოდიან. საფრანგეთის ელჩმა რომში პროტესტი განაცხადა ფრანგული გაზეთებისა და ჟურნალების შეტანის აკრძალვის წინააღმდეგ, რამდენადაც სანქციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ ვრცელდება გაზეთებსა და ჟურნალებზე.

იტალიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელობამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს სასპორტო და ფიზკულტურულ შეჯიბრებას სანქციების მონაწილე ქვეყნების უმრავლესობასთან (ადს)

შვეციის წითელი ჯვრის რაზმი ადის-აბებაში

სტოკჰოლმი, 16 ნოემბერი. შვეციის წითელი ჯვრის მოძრავი რაზმი დღეს გავიდა ჯიბუტიდან და ზეგ ჩავა ადის-აბებაში. შვეციის წითელ ჯვრის მთავარი გამგეობა აცხადებს, შვეციის წითელი ჯვრის რაზმი სამხრეთის ფრონტზე გაიგზავნება.

შვეციის წითელმა ჯვარმა დღემდი ნაღდად შეაგროვა 866 ათასი შვედური კრონი, აქედან 61 ათასი შვედური კრონი კომკავშირელებმა შეაგროვეს (ადს).

ნანკინის მთავრობა კედს იხრის იაპონელ მილიტარისტების წინაშე

ტოკიო, 19 ნოემბერი. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩინეთის საქმეთა რწმუნებულმა დინ შაო-ძიმ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სიგემიცუ და დაარწმუნა იგი, რომ, სხვადასხვა რაიონებში ნანკინის ჯარების თავმოყრის შესახებ გავრცელებული ხმების მიუხედავად, ნანკინის მთავრობას სურს მხოლოდ მეგობრული ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება იაპონიასთან. დინ შაო-ძიმ აგრეთვე აცნობა მას, რომ ნანკინის მთავრობა პრინციპულად ეთანხმება იაპონიის წინადადებას „ჩინეთისა და იაპონიას შორის თანამშრომლობის საკითხზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ“ და სთხოვა სიგემიცუს მიუთითოს, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული ამასთან დაკავშირებით. სიმბუნ რენგოს სააგენტოს სიტყვით, სიგემიცუმ უპასუხა, რომ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს ჩინეთში იაპონიის ელჩის არიოსის მეშვეობით. სიგემიცუმ დასძინა, რომ ნანკინის მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს იაპონიის მოთხოვნები, რომლებიც გულისხმობენ ანტიიაპონური მოძრაობის ჩაქრობას ჩინეთში და თანამშრომლობის დამყარებას „ჩრდილოეთ ჩინეთში „წითელი გავლენის შეჭრის“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აგრეთვე უნდა „მიიღოს სათანადო ზომები იმისათვის, რომ მოაგვაროს მდგომარეობა ჩრდილო ჩინეთში ისე, რომ ამან დააკმაყოფილოს იაპონია და მანჯოუგო (ადს).

იაპონელი მილიტარისტების გეგმები

შანხაი, 18 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში შანხაიგუანში ჩამოვიდა 15 ათასი იაპონელი ჯარისკაცი, რომელთა უმრავლესობა მანჯურიიდან არის მოსული. შანხაიგუანში გამოცხადდა სამხედრო წესები. მცხოვრებლები მასობრივად გარბიან ცინვანდაოში.

სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ „საკავშირო ავტონომიური მთავრობა“, რომელიც უახლოეს მომავალში მოეწყობა, გამოაცხადებს იაპონიასთან გაერთიანებას კომუნიზმის ჩახშობის და ახალი „სახელმწიფოს“ იაპონიასთან და მანჯოუგოსთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების საქმეში (ადს).

საქართველოს შავი-ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის (1936-1940 წ. წ.) შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სახკომსაბჭოს 1935 წლის 16 ნოემბრის დადგენილება

მიღებულ იქნას შემდეგი წინადადებანი თათბირისა, რომელიც მოწვეული იყო საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ა-წ 14 ნოემბერს პარტიის საოლქო კომიტეტების, რაიკომების მდივანთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის (1936 - 1940 წლების) შესახებ საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 5 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის საკითხებზე.

1. საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ა-წ 5 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული გეგმა, რომლის მიხედვითაც 1936-1940 წლების პერიოდში უნდა გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურები 16.820 ჰექტარზე იმ ანგარიშით, რომ 1940 წლის დამლევისათვის ციტრუსოვან კულტურათა ფართობი აყვანილ იქნას 20.000 ჰექტარამდე, მათ შორის: მანდარინის — 12.000 ჰექტარი, ლიმონის — 7.000 ჰექტარი და ფორთოხალი — 1.000 ჰექტარი (კოლხიდაში დასაშრობი მელიორაციის შედეგად მიღებული ფართობების ათვისების გათვალისწინებით) — განაწილდეს რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის შემდეგნაირად (იხ. დანართი).

2. ციტრუსოვან კულტურათა გაშენების ამ გეგმის უზრუნველსაყოფად სანერგეთა არსებული ფართობი 60 ჰექტარის რაოდენობით (1935 წელს) აყვანილ იქნას 1936 წელს 220 ჰექტარამდე, ხოლო 1937 წელს —380 ჰექტარამდე იმ ანგარიშით, რომ მიღებულ იქნას სტანდარტული სანერგე მასალა 1936 წელს — 320.000 ცალი, ხოლო 1937 წელს — 1.000.000 ცალი, 1938 წელს — 4.000.000 ცალი, 1939 წელს — 5.000.000 ცალი, და 1940 წელს — 6.500.000 ცალი.

3. დამტკიცდეს ციტრუს-ტრიფოლიატის თესლის დამზადების გეგმა 1936 წლის გაზაფხულზე სადედე ნერგების დასათესად 15.000 კილოგრამის რაოდენობით, მათ შორის:

აჭარისტანში	1.700	კლგ.
აფხაზეთში	1.300	„
მახარაძის რაიონში	4.000	„
ლანჩხუთის „	5.000	„
ხობის „	1.200	„
ზუგდიდის „	1.000	„
ჩოხატაურის „	200	„
სამტრედიის „	200	„
ცხაკაიას „	100	„
ქუთაისის „	100	„
ხონის „	50	„
მარტვილის „	50	„
აბაშის „	50	„
ვანის „	50	„

4. დაევალოთ პარტიის აჭარისტანის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს და პარტიის ჩამოთვლილ რაიონულ კომიტეტებს უზრუნველყონ ციტრუს-ტრიფოლიატის თესლის დამზადების გეგმის შესრულება ა-წ. 15 დეკემბრისათვის.

5. დაევალოს კომისიას ამხ. ბაქრაძის (მოწვევა), ლაკობას (აფხაზეთი), ზ. ლორთქიფანიძის (აჭარისტანი), ბუდუ მდივნის, კეკელიას, მათიკაშვილის, ურუშაძის, გეურქოვის (აჭარისტანი), ლადარიას (აფხაზეთი), ბერიძის, კილაძის (მახარაძის რაიონი), გვასალიას (ზუგდიდის რაიკომი), და ზენიაროვის შემადგენლობით მოამზადოს და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად ა-წ 1 დეკემბრამდე წარუდგინოს შემდეგი საკითხები:

ა) ციტრუსოვან კულტურათა გაშენების გეგმების რაიონობრივი განაწილება წლებისა და სექტორების მიხედვით;

ბ) ციტრუსოვან სანერგეთა გაშენების რაიონობრივი გეგმა წლებისა და სექტორების მიხედვით;

გ) სანერგე მეურნეობის ორგანიზაციის ღონისძიებანი;

დ) რაიონები და სასოფლო საბჭოები, რომელთა მიმართ გამოცემულ უნდა იქნას სავალდებულო დადგენილება ციტრუსოვანი კულტურების საკარმიდამო მიწებზე გაშენების შესახებ;

ე) ციტრუსების პლანტაციებისა და სანერგეების გაშენების დაფინანსება;

ვ) კადრების მომზადება ციტრუსების მეურნეობისათვის;

ზ) ციტრუსოვანი კულტურების აგროწესები და აგროტექნიკა;

6) დაევალოს საქართველოს მიწსახკომს 3 დღის ვადაში მისცეს რაიონებს საჭირო მითითებანი ციტრუსოვანი ნარგავების სადედეთა აპრობაციის ორგანიზაციის საკითხებზე. წინადადება მიეცეთ პარტიის საოლქო კომიტეტებს და რაიკომებს უზრუნველყონ სამიწათმოქმედო ორგანოების ეს მუშაობა სათანადო ხელმძღვანელობით.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმა (1936—1940 წლებში)

დანართი

რესპუბლიკები და რაიონები	სულ ციტრუსოვანი კულტურები: არსებობს ჰექტარობით	სულ ციტრუსოვანი კულტურები: გაშენდება 1936—1940 წლებში ჰექტარობით	სულ ციტრუსოვანი კულტურები: სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	მანდარინი: არსებობს ჰექტარობით	მანდარინი: გაშენდ. 1936-1940 წლებში ჰექტარობ.	მანდარინი: სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	ლიმონი: არსებობს ჰექტარობით	ლიმონი: გაშენდება 1936—1940 წ. ჰექტარ.	ლიმონი: სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	ფორთოხალი: არსებობს ჰექტარობით	ფორთოხალი: გაშენდება 1936-1940 წ. ჰექტარ.	ფორთოხალი: სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექ.
1. აფხაზეთი	663	5.337	6.000	575,9	2.624	3.199,9	67,78	2.432	2.499,78	19,32	281	300,32
2. აჭარისტანი	1.82	4.422	6.250	1.604,21	1.574	3.178,21	180,19	2,420	2.600,19	43,6	42	71,6
3. მახარაძე	319	1.981	2.300	282,94	1.181	1.463,94	34,08	700	734,08	1,98	100	101,98
4. ლანჩხუთი	169	1.101	1.270	151,36	671	822,36	17,59	400	417,59	0,05	30	30,05
5. ზუგდიდი	77	1.533	1.610	70,23	1.106	1.176,23	6,77	400	406,77	—	27	27
6. ფოთი	159	801	960	106,51	564	670,51	43,54	197	240,54	8,95	40	48,95
7. ჩოხატაური	4	96	100	4	86	90	—	10	10	—	—	—
8. აბაშა	7	143	150	7	133	140	—	5	5	—	5	5
9 სენაკი	33	507	540	32,61	452	484,61	0,36	50	50,36	0,03	5	5,03
10. ჩხოროწყუ	3	297	300	3	282	285	—	10	10	—	5	5
11. მარტვილი	3	147	150	2,81	137	139,81	0,12	5	5,12	0,07	5	5,07
12. ხობი	15	305	320	14,24	280	294,24	0,76	20	20,76	—	5	5
13. წალენჯიხა	—	150	150	—	145	145	—	—	—	—	5	5
სულ	3.280	16.820	20.100	2854.81	9.235	12.069,81	351,19	6.649	7.000,19	74	936	1.010

მისალმება ამხ. მ. ი. კალინინს

ქვირფასო მიხეილ ივანესძევ!

შენი 60 წლისთავის დღეს, გილოცავთ, როგორც ნაცადს ძველ ბოლშევიკს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთ თვალსაჩინო ორგანიზატორსა და მშენებელს.

მუშათა კლასის ღვიძლმა შვილმა, მუშათა და გლეხთა მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულმა, შენ მათს სამსახურს შეალიე მთელი სიცოცხლე. ჭაბუკობიდან შენ შეუდექი რევოლუციურ ბოლშევიკურ მუშაობას. „მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირში“, პეტერბურგის პარტიულ მუშაობაში, ძველსა ტფილისსა, თუ მოსკოვში — ყველგან იყავი დიდი ლენინის ერთგული მიმდევარი. ვერც საპატიმროებმა ვერც გადასახლებამ ვერ შესძლო მუშა-ბოლშევიკის რევოლუციური ენერგიის მოდრეკა.

1919 წელს პარტიამ და ქვეყანამ მოგანდო შენ სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი, ხოლო 1923 წლიდან—საკავშირო ცაკის თავმჯდომარის პოსტი. ამ პოსტებზე ყოფნის დროს შენ მაღლა გიჭირავს ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი დროშა, და ახორციელებ ყოველდღიურ მჭიდრო კავშირს ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან.

გიძღვნით, ქვირფასო მიხეილ ივანესძევ, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს და გისურვებთ შემდგომ ხანგრძლივ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს გასამტკიცებლად და სოციალისტური საზოგადოების წარმატებით საშენებლად.

ი. სტალინი
ვ. მოლოტოვი
ლ. კაგანოვიჩი
კ. ვოროშილოვი
ს. ორჯონიკიძე
ა. მიქოიანი
ა. ანდრეევი
ა. ჟდანოვი
ს. კოსიორი
გ. პეტროვსკი
პ. პოსტიშევი
ვ. ჩუბარი
ი. რუძუტაკი
რ. ეიხე
ნ. ეჟოვი
ნ. ანტიპოვი
მ. შკირიატოვი
დ. სულიმოვი
ი. აკულოვი
ა. კოსარევი
ნ. შვერნიკი

○ ○ ○

ამხ. მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ, რომელმაც თქვენი ცხოვრების 40 წელი რევოლუციურ ბოლშევიკურ საქმეს მოანდომეთ, თქვენ, ლენინისა და სტალინის საიმედო თანამებრძოლს, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს ხელმძღვანელს.

თქვენმა, როგორც რევოლუციონერის, მუშა-ბოლშევიკის მოღვაწეობამ, თქვენმა ერთგულებამ ლენინ-სტალინის პარტიისადმი, თქვენმა უბრალოებამ, გულითადობამ, თავდაბლობამ, მუდმივმა ცოცხალმა კავშირმა მუშათა და გლეხთა უფართოეს მასებთან, თქვენმა პრაქტიკულმა გონებამ და ცხოვრების უდიდესმა გამოცდილებამ, თქვენმა მუშაობამ სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის პოსტზე მოგიხვეჭეს თქვენ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ხალხთა უფართოესი მასების სიყვარული და პატივისცემა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო გისურვებენ კიდევ მრავალ წელს შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა და მხნეობა ნაყოფიერი მუშაობისათვის მშრომელი მასების საკეთილდღეოდ, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

□ □ □

საბჭოთა კავშირის დიდი ზეიმი

პრაგა, 19 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პრესა დაწვრილებით აცნობს ჩეხოსლოვაკიის მუშებს მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა და მუშაქალთა პირველ საკავშირო თათბირს. „რუდე პრავო“ თავის დიდ სტატიაში სწერს:

„სტახანოველთა საკავშირო თათბირი გადაიქცა მთელი საბჭოთა კავშირის დიდ ზეიმად, ყველა იმათ ზეიმად, ვისთვისაც სოციალიზმის წარმატებებს, მის საბოლოო გამარჯვებას პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მთელი მსოფლიოს წინაშე ეს თათბირი ცხადჰყოფს ახალ ტრიუმფს უმნიშვნელოვანეს დარგში, სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ტრიუმფს (ადს).

□ □ □

ავსტრია-გერმანიის ურთიერთობა

ვენა, 16 ნოემბერი. ბოლო დროს ავსტრიაში სისტემატიურად გაძლიერდა ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდა, რომელსაც ხელმძღვანელობენ გერმანიიდან. გაზეთ „ტელეგრაფის“ ცნობებით, ავსტრიაში ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოდის გენლეინის პარტიის ხელმძღვანელები, რათა ამ პარტიის მეშვეობით მოაწყონ ავსტრიაში გარეგნულად ლეგალური ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა. ამასთან ერთად ავსტრიის ხელისუფალნი ამჩნევენ მასობრივ შემთხვევებს, როცა ნაციონალ-სოციალისტები შედიან ავსტრიის ფაშიზმის ორგანიზაციაში — „სამშობლოს ფრონტში“, რათა იგი შიგნიდან დაიპყრონ. ნაციონალ-სოციალისტების აქტივობის თვალსაჩინო გაძლიერება, კერძოდ, აღნიშნა თავის გამოსვლაში ავსტრიის შინაგან საქ. მინისტრმა ბაარ-ბაარენფელსმა. მან მოიხსენია, რომ ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტები კვლავ ღებულობენ ფინანსიურ და ყოველგვარ სხვა დახმარებას, ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო ავსტრია-გერმანიის ურთიერთობას. ბაარ ბაარენფელსმა ამ ურთიერთობას უწოდა ეკონომიური და პოლიტიკური ომის მდგომარეობა.

ავსტრიის შიგნით ნაციონალ-სოციალისტების ახალი შეიარაღებული გამოსვლის საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გერმანიასთან შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საერთო გამწვავების გამო ავსტრიის მთავრობა სასწრაფოდ ახორციელებს ავსტრიის ხელახალი შეიარაღების პროგრამას. (ადს).

□ □ □

„რიზოსპასტის“ თანამშრომელთა დაპატიმრება

ათინა, 16 ნოემბერი. გუშინ დააპატიმრეს ცენტრალური კომუნისტური ორგანო „რიზოსპასტისის“ სამი რედაქტორი და ერთი თანამშრომელი (ადს).

□ □ □

საქართველოში მზრალად ხვნა ჭიანურდება

საქმიწსახკომის 15 ნოემბრის ცნობებით, მზრალად ხვნა საქართველოში შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. 138.749 ჰექტარიდან მოხნულია 71.418, რესპუბლიკური გეგმის 51,5 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობებს გეგმა შესრულებული აქვთ 51 პროცენტით, კოლმეურნეობებს—55,9-ით, ერთპიროვნულ მეურნეობებს 41,5-ით.

აღმოსავლეთ საქართველოში მზრალად ხვნის დამთავრების უკანასკნელ ვადად დაწესებული იყო 15 ნოემბერი. ამ სამუშაოს გაჭიანურება საფრთხეს უქმნის 1936 წ. საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, რადგან მზრალად ხვნა მძლავრი აგროტექნიკური ღონისძიებაა ნიადაგში სინესტის შენარჩუნებისა და აერაციის მოწესრიგებისათვის.

ყველაზე მეტად ჩამორჩა გურჯაანის რაიონი, რომელსაც 15 ნოემბრისათვის მოხნული ჰქონდა 375 ჰექტარი (გეგმის 8,9 პროც.), თელავის რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 8,4 პროცენტით, ყარაიასს — 8,9-ით, საგარეჯოსას—8,7-ით, სიღნაღისას—19,4-ით, ბორჩალოსას — 18,1-ით, ლუქსემბურგისას—14,3-ით, წალკისას —15,3-ით, კასპისას — 34,2-ით, გორისას — 45,5-ით, ყვარლისას —41-ით, ლაგოდეხისას — 42,1-ით, ტფილისისას—31,4 პროცენტით.

დუშეთის რაიონს 15 ნოემბრისათვის საქმიწსახკომში ცნობებიც არ წარმოუდგენია მზრალად ხვნის დაწყებაზე.

სადაც ამ სამუშაოს თავიდანვე მაგრად ჩაჰკიდეს ხელი, სწორად გაანაწილეს ძალები და აღკვეთეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობის პრაქტიკა,—იქ გეგმებიც წარმატებით სრულდება. ახალქალაქის რაიონს მზრალად მოხნული აქვს 8.487 ჰექტარი—გეგმის 122 პროცენტი, ტოლოშის რაიონმა გეგმა შეასრულა 298,7 პროცენტით, სამხრეთ-ოსეთმა 119-ით.

სავალალო მდგომარეობაა აგრეთვე ტრაქტორებით მზრალად ხვნის საქმეში. 10 ნოემბრისათვის მთელ რესპუბლიკაში 39.885 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 16.898 ჰექტარი (გეგმის —42,4 პროც.).

10 ნოემბრისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ წნორის მტს-ს (დირექტორი ამხ. სტეფანოვი), ულიანოვკისას (დირექ. ამხ. ბაირამოვი) და გურჯაანისას (დირექ. ამხ. კულუმბეგაშვილი).

ტრაქტორებით მზრალად ხვნაში ოპერატიული მუშაობის ნიმუში აჩვენეს აგარის მტს-მა (დირექტორი ამხ. გერ. ლომთათიძე), რომელსაც 10 ნოემბრისათვის მოხნული ჰქონდა 7.545 ჰექტარი (გეგმის—101.5 პროც.) და სტალინირის მტს-მა (დირექტორი ამხ. ჯანაია),—გეგმა შესრულდა 106,7 პროცენტით.

წელს დასავლეთ საქართველოში პირველად ხდება მზრალად ხვნა სიმინდის კულტურისათვის. მართალია, ამ სამუშაოს ვადა ჯერ არ გასულა, მაგრამ მთელ რიგ რაიონებს (აბაშა, ცხაკაია, მარტვილი, ზუგდიდი, ხობი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მახარაძე, ლანჩხუთი, ჩოხატაური) და აფხაზეთი 15 ნოემბრისათვის არ წარმოუდგენიათ მიწსახკომში ცნობები ხვნის დაწყების შესახებ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

17 ნოემბერს სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველ საკავშირო თათბირზე

ამხანაგებო!

მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა შესაძლებლობა გადმოგცეთ თქვენ, მსოფლიოში საუკეთესო მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანებს, ჩვენი სახელოვანი მამაცი წითელი არმიის ძმური სალამი (ტაში „ვაშას" ძახილი. „გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას! ვაშა!" „გაუმარჯოს წითელ არმიას კლიმ ვოროშილოვის ხელმძღვანელობით! ვაშა", შეძახილები: „ვაშა!").

ამხანაგებო! სტახანოველები — ჩვენი საუცხოო მუშათა კლასის უპირველესი ადამიანები — ყველაზე უფრო ახლობელნი, ყველაზე უფრო გასაგები ყველაზე უფრო ძვირფასნი არიან ჩვენი წითელი მეომრებისათვის, მთლიანად მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის.

წითელი არმია განსაკუთრებულ ყურადღებით ადევნებს თვალს იმას, თუ რა ხდება ჩვენს მუშათა კლასში ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე. სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მუშათა სულ უფრო და უფრო მეტ ფენებს ედება, არ შეიძლება უაღრესად და უშუალოდ არ გვაინტერესებდეს ჩვენ, წითელ არმიას, ჩვენ, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, მეომრებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს. მძლავრი ხალხური ლაშქრობა შრომის მაღალი სოციალისტური ნაყოფიერებისათვის გასაგებია ჩვენთვის არა მარტო იმიტომ, რომ წითელი არმია ჩვენი დიდი სამშობლოს განუყრელი, განუშორებელი ნაწილია; არა მარტო იმიტომ, რომ წითელი არმიის მეომრები ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რკინიგზებისა და სოციალისტურ სახელმწიფოს სხვა საწარმოთა გუშინდელი დამკვრელები არიან; არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი მეომრები და უმცროსი მეთაურები — ესენი ხვალ კვლავ იქნებიან სახალხო მეურნეობის მუშაკები, რომ ესენი არიან ხვალინდელი სტახანოველები, ბუსიგინელები, კრივონოსელები, სმეტანინელები, ვინოგრადოველები, პრონინელები და სხვები, რომელთა სახელები ახლა შორს გავარდნილა მთელს დიდ საბჭოთა ქვეყანაში, — წითელი არმია უდიდესი ყურადღებით სწავლობს მუშაობის ახალ საუკეთესო ნიმუშებს, რომლებითაც თურმე პირდაპირ სასწაულების მოხდენა შეიძლება, რათა დაუყოვნებლივ გადაიტანოს ისინი თავის მუშაობაში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო მომზადების ყველა დარგში.

წითელ არმიას უკვე ახლაც ჰყავს თავის რიგებში არაერთი ათასი ადამიანი, რომლებსაც სრული უფლებით შეიძლება სტახანოველები ვუწოდოთ. როგორც მოგეხსენებათ, წითელი არმია უშუალოდ არ ქმნის მატერიალურ ღირებულებებს, მაგრამ იგი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კაპიტალებიდან ყველაზე ძვირფასის, ყველაზე მნიშვნელოვანის, ყველაზე [illegible], ჩვენი სტალინის გამოთქმით — კადრების წარმოებაში (ტაში). იგი ზრდის, აყალიბებს და ამალაშინებს ადამიანებს.

წითელმა არმიამ უკვე მისცა ჩვენს ქვეყანას წარმოების ასი ათასობით ჩინებული მუშაკები და ორგანიზატორები სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

წითელი არმია ახლაც ცდილობს არათუ არ ჩამორჩეს, არამედ შეძლებისდაგვარად გაუსწროს კიდეც სახელმწიფო ორგანიზმის სხვა დარგებს, რათა ყოველ მხრივ გაამართლოს თავისი პასუხსაგები დანიშნულება პროლეტარული სახელმწიფოს სისტემაში.

თქვენ მოგეხსენებათ, როცა ამ დღეებში წარმოების საუკეთესო მებრძოლის ნიკიტა იზოტოვის საუკეთესო მოწაფემ ამხ. სტეპანენკომ, რომელიც ამჟამად შავი ზღვის ფლოტის ერთ ერთი ყველაზე მოწინავე უმცროსი მეთაურია, გაიგო სტახანოვის საუცხოო ინიციატივის ამბავი, შვებულებაში ყოფნისას, მივიდა თავის მშობლიურ შახტში, გაამრავლა რა იქ იზოტოვის გამოცდილება შრომის სტახანოვურ ორგანიზაციასა და მეთოდზე და ახალი უმაღლესი რეკორდი დაამყარა, — ერთ ცვლაში 552 ტონა ქვანახშირი გამოანგრია.

ეს ფაქტი მკაფიოდ ახასიათებს წითელ არმიას და მის მუდმივ ძმურ და ცოცხალ კავშირს პროლეტარული სახელმწიფოს მშრომელ მასებთან, კავშირს მუშაობის მშობლიურ ადგილებთან.

ჩვენს საჰაერო ძალებში გამოვზარდეთ და ახლა ჩვენს ავიაციაში გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან მსოფლიოს საუკეთესო ავიატორებად (ტაში). რომ აღარ ვილაპარაკოთ ყველასათვის ცნობილ საბჭოთა კავშირის გმირთა სახელებზე, შეიძლება დავასახელოთ ავიაციის ასეული ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე სოციალისტური მუშაკის ნიმუშს ჰაერის დაუფლების და ბრძოლის ყველაზე ძლიერი, ყველაზე თანამედროვე იარაღის — ავიაციის დაუფლების დარგში. ავიაციის მფრინავთა და მეთაურთა — ეხნევის, სტეპანჩენკოს, ზიმას, მილეშკინის, აერონავტების ზიკოვისა და ტროპინის, სტრატონავტების პროკოფიევის, გოდუნოვის, ზილეს, პრილუცკის და სხვათა სახელებით, შტურმან სპირინის, ინჟინერ მფრინავ ფილინის, პლანერისტების ლისიცინისა და სუხომლინოვის სახელებით — ამ სახელებით მხოლოდ იწყება ჩვენი წითელი არმიის იმ საუკეთესო ადამიანთა უდიდესი სია, რომლებიც მთლიანად, ნამდვილად, სტალინურად დაეუფლნენ საავიაციო საქმის ტექნიკას, რომლებმაც იციან და უყვართ თავიანთი საქმე ისე, როგორც თავისი საქმის ცოდნა და სიყვარული შეჰფერის ყოველ პატიოსან პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს.

თქვენ იცნობთ ჩვენს ადამიანებს, რომლებიც საპარაშუტო ხელოვნებას დაეუფლნენ. პარაშუტიზმი — ეს არის ავიაციის ის დარგი, რომელშიაც მონოპოლია საბჭოთა კავშირს ეკუთვნის. მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლოს თქვას, რომ იგი ამ დარგში დაახლოებით მაინც უთანასწორდება საბჭოთა კავშირს, ან მით უმეტეს ის, რომ იგი ამოცანად ისახავდეს უახლოეს წლებში დაგვეწიოს, აღარას ვამბობ იმაზე, რომ გაგვისწროს (ტაში). ასეთი ქვეყანა ამჟამად მსოფლიოში არ მოიპოვება. მე არ შევცდები, — და ეს არც ტრაბახობა იქნება, — თუ ვიტყვი, რომ ასეთი ქვეყნები არც იქნება (ტაში): არ იქნება მანამდე, სანამ სხვა ქვეყნებშიაც არ დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება (ტაში).

ქვეყნიერებაზე ბევრია ცალკეული გმირი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ საგმირო საქმის ჩადენის უნარი. ისინი ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც არიან — ოკეანეების გაღმაც და ევროპის კონტინენტზედაც. მაგრამ ამ ქვეყნებში არ მოიპოვება ათობით, ასობით, ათასობით ადამიანები, რომლებსაც პარაშუტიზმი შეჰყვარებოდათ, როგორც თავიანთი ღვიძლი აუცილებელი საქმე. არ მოიძებნება ისეთი ადამიანები, რომლებსაც როგორც ჩვენში შეუყვარდათ ეს საქმე და რომლებიც დაეუფლნენ მას, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას თავისი სამშობლოს თავდაცვის საქმისათვის, სოციალიზმის მშენებლობის დაცვისათვის.

წელს კიევის მანევრებზე ჩვენ ვიყავით იმის მოწმენი — აქ მყოფი ამხანაგები კოსიორი, პოსტიშევი, ლიუბჩენკო და სხვები იქ ჩემთან ერთად იყვნენ — თუ ერთდროულად როგორ ჩამოუშვეს პარაშუტებით 1200 კაცი (ტაში), თავიანთი კომანდირის ამხ. ინძერის მეთაურობით, და, ამას გარდა, 40 წუთის განმავლობაში როგორ გადმოსხეს თვითმფრინავებით 2½ ათასი კაცისაგან შემდგარი დესანტი (ტაში).

ამ მანევრებს დაესწრნენ საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის და იტალიის არმიების წარმომადგენლები, მათაც ნახეს ყოველივე ეს და ისინი გაცვიფრებული იყვნენ ჩვენში ამ ახალი საქმის ასეთი გაქანებით, ჩვენი ადამიანების სიმამაცითა და უნარით. ცოტას როდი სწერს ჩვენს საჰაერო დესანტებზე მსოფლიო პრესა. ამ დღეებში მე ვათვალიერებდი, თუ რას სწერდნენ კიევის მანევრებზე უცხოეთის გაზეთებში. თურმე ბურჟუაზიული გაზეთები კიევის ამ საპარაშუტო დესანტში ანგარიშობენ არაუმეტეს 500 კაცისა, ხოლო მთელი რიგი გაზეთები დესანტის ციფრს განსაზღვრავენ მხოლოდ 150 კაცით. თუმცა ჩვენ ამას საიდუმლოდ არ ვინახავდით და ზუსტად ვამბობდით, რამდენი პარაშუტისტი გადმოსხეს, მაგრამ რატომღაც მათ მაინც ვერ გაბედეს სწორი ცნობების გამოქვეყნება. მე მიძნელდება იმის ახსნა, თუ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ბურჟუაზიული პრესა, როცა იგი ამცირებდა კიევის დესანტის რიცხვს. მაგრამ როგორ მოიქცეოდნენ ამ საქვეყნოდ თავდაბალ გამოცემათა ბატონი გამომცემლები და რედაქტორები, თუ სცოდნოდათ, რომ დაახლოებით იმავე დღეებში, როცა ჩვენ კიევის მახლობლად ვხედავდით განსაცვიფრებელ სანახაობას, როცა თვითმფრინავებიდან ერთდროულად გადმოხტა 1200 კაცი იარაღით და სრული ამუნიციით, რომლებიც მიწაზე დაშვებისთანავე იქვე გაიშურნენ ბრძოლაში პირობითი მტრის წინააღმდეგ და რომლებიც კიდევ უფრო მეტი გაბედულებით წავიდნენ, თუ ეს საჭირო იქნა, ნამდვილი მტრის წინააღმდეგ (ტაში), რომ ამავე დროს ერთერთ მეზობელ ოლქში თვითმფრინავებიდან ერთსა და იმავე დროს გადმოუშვეს არა 1200 პარაშუტისტი, არამედ 1800 კაცი (ტაში) და გადმოსხეს არა 2500 კაცი, არამედ 5700 კაცი (ტაში) და რომ მთელ რიგ სხვა ოლქებში უბრალო ვარჯიშობათა დროს და არა ისეთ დიდ მანევრებზე, როგორიც კიევის სამხედრო ოლქში, აგრეთვე გადმოსხეს შემჭიდროებული, მძლავრად შეიარაღებული მეომარ პარაშუტისტთა მრავალრიცხოვანი რაზმები. რას იტყოდნენ ისინი, რომ თუ სცოდნოდათ, რომ თუმცა პარაშუტიზმი წითელ არმიაში აგებულია მხოლოდდამხოლოდ სრულ ნებაყოფლობითს პრინციპზე, ჩვენ იძულებული ვხდებით უარი ვუთხრათ მრავალ მეომარსა და მეთაურს, რომლებსაც სურთ გახდნენ ჯარის ამ ახალი სახეობის მეომრებად.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრები ათასობით მოითხოვენ, რათა მათ საპარაშუტო საქმე შეასწავლონ. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ საპარაშუტო საქმე — ეს ერთერთი ყველაზე სათუთი და ტექნიკურად რთული ხელოვნება — წითელმა არმიამ აითვისა და აითვისა არა როგორც სპორტი, რომელიც მხოლოდ აკაჟებს სიმამაცეს, არამედ როგორც ჩვენი საბრძოლო ძლიერების მნიშვნელოვანი დარგი. (ტაში).

შეიძლება თუ არა ყველაფერ ამას ეწოდოს სტახანოვური მოძრაობა არმიაში? ვფიქრობ, რომ ეს უეჭველად ასეა. წითელი არმიასთან შეფარდებით სტახანოვური მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი აღმავლობაა ახალი საუკეთესო, უნარიანი და მამაცი ადამიანებისა, რომლებიც სოციალისტურად არიან აღზრდილნი, რომელთაც სწყურიათ გააძლიერონ თავისი სამშობლოს თავდაცვა, რომელნიც დაეუფლნენ მთელ მრავალფეროვან ახალ საბრძოლო ტექნიკას, რომელნიც თავის იარაღს გამოსწურავენ ყველაფერს, რის მოცემაც კი მას შეუძლია, რომელნიც განუწყვეტლივ აუმჯობესებენ მისი გამოყენების მეთოდებსა და ხერხებს, რათა ძალთა და საშუალებათა რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით მიაღწიონ ყველაზე მეტ ეფექტს, ყველაზე მეტ ნაყოფიერებას მტერთან ბრძოლაში, თუ იგი ჩვენზე თავდასხმას გაბედავს. წითელარმიელი სტახანოველები, ისევე, როგორც მათი ძმები საწარმოებში, ამსხვრევენ თავისი იარაღისა და ადამიანური მოხერხების დაწესებულ ნორმატივებს, ისევე უკეთესი და უკეთესი მაჩვენებლისაკენ მიუძღვებიან წინ ათასობით თავის ამხანაგებს.

თუ ამ საკითხს ასე მივუდგებით, მაშინ ჩვენ ცოტანი როდი გვყავან სტახანოველები ტანკისტებს შორისაც. ჩვენი ტანკისტები წარმატებით აღწევენ იმას, რომ ჩვენი ტანკები უმარტივესი მოწყობილობის გზით, ხოლო, უმთავრესად, თავისი წამყვანების, ტექნიკოსების, მეთაურების ოსტატური მუშაობის მეოხებით, თავისუფლად დადიან ჭაობში, რასაც მათი „ნორმები" არ ითვალისწინებდნენ, გადადიან მდინარეებს, ტბებს და ზღვის ყურეებსაც კი ძლიერი ღელვის დროს. ჩვენში ცოტანი როდი არიან მამაცი ტანკისტები, რომლებიც, როგორც ვირტუოზები, პირდაპირ თამაშობენ თავისი მრისხანე მანქანებით.

ჩვენი მეზღვაურებიც, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მამაცი წყალქვეშელნი თავისი ახალი ნავებით აჭარბებენ აგრეთვე მათი გემებისათვის დაწესებულ ტექნიკურ ვარაუდებსა და ნორმებს.

ამ ამოცანების გადაწყვეტა არ არის იოლი საქმე და მასთან ფრიად საჭიროა, იგი ჩვენ, მეთაურებს, გვაძლევს საშუალებას ახლებურად, მეტი პროდუქტიულობით გადავწყვიტოთ იმ მანქანების გამოყენების ამოცანები, რომლებსაც სოციალისტური ინდუსტრია თავის არმიას აწვდის. ჩვენს არტილერისტებსა, ქვეითებსა, კავალერისტებსა, მესანგრეებს, ქიმიკოსებსა და მეკავშირეებს შორისაც, ბოლოს, ჩვენი სამხედრო სახელოსნოების, საწყობების, აეროდრომების მუშაკთა შორის, ჩვენი მშენებელთა შორის, სამხედრო რკინიგზელთა შორის უამრავია შესანიშნავი ადამიანები, რომელთა მუშაობაც სავსებით ენათესავება სახალხო მეურნეობის სათანადო დარგებს.

გუშინ აქ ამხ. სერგო მჭერმეტყველურად ამტვერებდა ტექნიკის ყოვლად ნამდვილ და ფიქტიურ მცოდნეთა, ჩვენი მრეწველობის „მცოდნეთა" ყოვლად თეორიას.

მრავალ შემთხვევიდან მე აქ ერთს მოვიყვან. ჩვენი არმიის ცხოვრებიდან. პროფესორმა კრიჩკოვსკიმ თავის ერთერთ შრომაში გამოაქვეყნა, რომ მისი ხელმძღვანელობით რელსის გაჭრა ხდებოდა უროს 11—15 დარტყმით. თერთმეტი დარტყმა პროფესორს მინიმალურ და სარეკორდო ციფრად მიაჩნია. ჩვენ რკინიგზელთა ერთერთი ნაწილის განყოფილების მეთაური ამხ. ზიმოვეცი წითელარმიელებს ასწავლიდა რელსების გაჭრას, ამხ. ზიმოვეცი ხედავს, რომ საჭირო ხდება ბევრი შრომისა და დროის ხარჯვა. ამიტომ იგი იწყებს რელსის გაჭრის პროცესის ანალიზს. დღითიდღე სწავლობს ზზარის მიმართულებას, ითვალისწინებს დარტყმის ძალას და სხვ. და თავის დასკვნებს აკეთებს. მალე იგი რელსს უკვე მეშვიდე დარტყმით სჭრის. მისი ჯგუფის მეთაური ამხ. კოსტრიკო და სხვა მეომრები აუმჯობესებენ ზიმოვეცის მეთოდს, იკვლევენ ზზარებს, ეძებენ რელსების ყველაზე ნაკლები გამძლეობის ადგილებს და, პროფესორის მტკიცების წინააღმდეგ, აღწევენ იმას, რომ რელსი იჭრება სამი, სულ ბევრი, ოთხი დარტყმით. ეს მეთოდი ერთისამად აძლიერებს მუშაობის ტემპებს. (ტაში).

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ასე სჭრის არა ღონიერი ადამიანი, არამედ საშუალო ღონის ადამიანი. ოღონდ უნდა იცოდე, როგორ იმოქმედო. ახლა ეს უკვე შემოღებულია სისტემაში, და რელსს სამი დარტყმით სჭრიან (ტაში).

ამხ. სერგო უეჭველად მართალი იყო, როცა გუშინ ამბობდა, ყველა ამ საკითხს სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი ტექნიკოსები და ინჟინრები, სამეურნეო მუშაკები და ორგანიზატორები.

აი, ამხანაგებო, საიდან წარმოსდგება ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც ამჟამად მუშურ გლეხური წითელი არმია იჩენს სტახანოვური მოძრაობისადმი მუშაობის ყოველ დარგში.

ამხ. შვერნიკი აქ ამბობდა — სტახანოვური მეთოდები პროფორგანიზაციებში უნდა გადავიტანოთ, ალბათ. შეიძლება გადავიტანოთ (სიცილი). და უნდა გადავიტანოთ, თუ თქვენ, პროფკავშირელო მუშაკებო, ბიუროკრატიულად არ მუშაობთ. (სიცილი, ტაში).

მე ამ საკითხზე არ ვეკამათები ამხ. შვერნიკს. სტახანოვური მეთოდები უნდა გადავიტანოთ მუშაობის ყოველ დარგში. აქ ილაპარაკეს წარმოების სულ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა. ჩვენ აქ მოვუსმინეთ მჭრეველებს; მებრძმედეებს, მღარველებს, ფეიქარ-ქალებს, რკინიგზელ მემანქანებს და მეისრეებს, მრავალი სხვა სპეციალობის მუშებს, ტექნიკოსებს და ინჟინრებს. ისინი ყველანი ლაპარაკობდნენ უდიდეს შედეგებზე, რომლებიც მიიღეს მუშაობის ახალი სტახანოვური ხერხების გამოყენებით.

ამხანაგი სერგო და სხვა აქ გამოსული ამხანაგები აბსოლუტურად მართალნი იყვნენ, როცა ამბობდნენ. რომ ამ, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საუცხოო, სოციალისტური მოძრაობას, რომელსაც ეწოდება სტახანოვური, ვინოგრადოვული, კრივონოსული და სხვა სასახელო სახელები, — რომ ამ მოძრაობას აუცილებლად ხელი უნდა ჩასჭიდონ ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა, უმეთაურონ მას, ამ მოძრაობას. სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადამიანები, რომლებიც მოწოდებული არიან უხელმძღვანელონ ჩვენს საწარმოებს, უხელმძღვანელონ ჩვენს სახელმწიფო მშენებლობას და უწინარეს ყოვლისა, ჩვენს სახალხო მეურნეობას. თუ ეს ამხანაგები, თუ ეს ხელმძღვანელები, — დიდნი და პატარანი, — ყველაზე აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ, ყველაზე ფართო დახმარებას არ გაუწევენ სოციალისტური შრომის გმირთა თაოსნობას, ისე მოძრაობა ვერ მოგვცემს ყველა იმ აუცილებელ, არა მარტო შესაძლებელ, არამედ უეჭველად მისაღწევ შედეგებს, რომლებიც მან უნდა მოგვცეს.

ამავე დროს კი აქ საკმაოდ გამოვიდნენ ინჟინრები და სამეურნეო მუშაკები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა, — ისინი ხომ წარმოების ორგანიზატორები არიან, — ვერ თქვა ამ ტრიბუნიდან: — ჯერ კიდევ სტახანოვამდე და კრივონოსამდე, ბუსიგინამდე და ომელიანოვამდე ჩემთან ახლებურად, სტახანოვურად მოეწყო მუშაობა. თვითეულ ინჟინერსა და სამეურნეო მუშაკს მრავალი ადამიანი ემორჩილება... მაგრამ თითქმის არცერთს მათგანს არ უთქვამს; ისე დავრაზმე ადამიანები, ისე მოვაგვარე შრომის პროცესების ყველა დეტალი, რომ შრომის ნაყოფიერება ერთიორად და ერთისამად გაიზარდა, თვითღირებულება მკვეთრად შემცირდა, ხარისხი გაუმჯობესდაო. ჩვენი ინჟინრები და სამეურნეო მუშაკები, სამწუხაროდ, არა თუ არ აღმოჩნდნენ შრომის სოციალისტური ნაყოფიერებისათვის, მუშაობის ახალი მეთოდებისათვის გაშლილი ფართო მოძრაობის ინიციატორები, არამედ მრავალ მათგანს თავისთვის ჯერ კიდევ არ გამოუტანია ყველა აუცილებელი დასკვნა სტახანოვური მოძრაობის მძლავრი ტალღიდან. საუკეთესო მუშები უეცრად თავის ხელმძღვანელთა წინ აღმოჩნდნენ.

თქვენ შემეკითხებით, როგორ არის საქმე შენთან, წითელ არმიაში, სადაც მეთაურთა შემადგენლობა ყოველთვის წითელარმიელთა წინ უნდა იყოს? ყველაფერი რიგზეა თუ არა? სამწუხაროდ, ამხანაგებო. მე განსაკუთრებით ვერ დავიტრაბახებ. წითელ არმიას მრეწველობასთან, წითელ არმიის კადრებს ჩვენს სამეურნეო მუშაკებთან მრავალი რამ საერთო აქვთ. ჩვენი მეთაურთა კადრები საერთოდ მშვენიერი, გამოცდილი, კულტურული, კადრებია. მიუხედავად ამისა, ჩვენ, ხელმძღვანელები, ყოველთვის ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს კადრები მასებს არ ჩამორჩნენ. თითქოს, მეთაური, ორგანიზატორი, მმართველი, დირექტორი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ყოველთვის წინ მიდიოდეს, მუშაობას წარმართავდეს. შრომის საუკეთესო მეთოდებს ჰპოვებდეს, ხელქვეით ადამიანებს წინ მიუძღოდეს. ნამდვილად კი, სამწუხაროდ. ზოგჯერ სხვა მდგომარეობაა. ცხოვრება ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში იმდენად შეიცვალა, ადამიანთა მილიონები ისეთი სწრაფი ტემპებით იზრდებიან, რომ მეთაურთა კადრები ხშირად ვერ ეწევიან ამ ძალებს. მასის მოთხოვნილებანი (მე მხედველობაში მაქვს მოთხოვნილებანი საქმის, სწავლების, კულტურის დაყენების მხრივ) მათ შორის მოთხოვნილებანი წითელარმიელის, რომელიც დღეს ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გუშინ იდგა, ხოლო ხვალ კიდევ უფრო მცოდნე და კულტურული იქნება, ვიდრე დღეს არის, — ისე სწრაფად იზრდება, რომ ზოგჯერ მეთაურებს არ შეუძლიათ სათანადოდ გამოეხმაურონ ამ მოთხოვნილებებს, ხელი შეუწყონ მათ, სათავეში ჩაუდგნენ, გარდაქმნან ახლებურად მუშაობა. და ჩვენ ამიტომ, — ახლა ეს ყველგან ხდება, — გამუდმებით ვასწავლით, ვწვრთნით ჩვენს კადრებს, ვაკეთებთ მათ კვალიფიკაციას, ვამაღლებთ მათ კვალიფიკაციას, რათა ისინი არ ჩამორჩნენ სადღეისო მოთხოვნებს და წითელარმიელთა ფართო მასების მოთხოვნილებებს, საჭიროებებს. მაგრამ ესეც როდია ყოველთვის საკმარისი. სავსებით თავის ადგილზე ამჟამად შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი მეთაური და უფროსი, რომელიც განუწყვეტლივ, პირდაპირ განუწყვეტლივ წინ მიდის და მიღწეულს არ სჯერდება.

არიან თუ არა ჩვენს მეთაურებს შორის სტახანოველები? არიან თუ არა ისეთი ადამიანები, რომლებიც არ უცდიან ბრძანებებს, არ ცხოვრობენ კარნახით, შაბლონით, არამედ ჰქმნიან, მუშაობენ, წინ მიდიან და ეძებენ გზებს დასახული მიზნების, ამოცანების მისაღწევად? უეჭველად არიან და ძალიან ბევრნიც. ჩვენს მეთაურთა შორის მრავალია ისეთი, რომლებიც ნამდვილად არიან მასების ღირსეული ხელმძღვანელები, ღირსეული წინამძღოლები, იმ მასებისა, რომელთა მმართვა, ხელმძღვანელობა და სარდლობა მათ ევალებათ, მაგრამ, ვიმეორებ, მეთაურთა კადრებისა და მასის ზრდის ტემპების გათიშვის საფრთხე, — ეს საფრთხე არსებობს წითელ არმიაშიც, რადგან ცხოვრება ჩვენს დიად ქვეყანაში მძაფრად და შეუჩერებლად იფურჩქნება. ის რაც გუშინ კარგი იყო, დღეს აღარ აკმაყოფილებს, ხოლო ხვალ ჩამორჩენილობად გადაიქცევა.

ვფიქრობ, რომ მრეწველობაშიც, სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგებშიც (დიახ, მაპატიონ სახალხო მეურნეობის მუშაკებმა) მუშათა მასებისა და მეთაურთა, კადრების ამ გათიშვას კიდევ უფრო მეტად ვხვდებით. თქვენ მოისმინეთ სმეტანინის, ომელიანოვის, ვინოგრადოვების და სხვა სტახანოველთა გამოსვლები. ეს ხომ თავისი საქმის პროფესორები არიან. ომელიანოვი ეს არ არის მარტო მემანქანე, ვინოგრადოვა არ არის მარტო ფეიქარი. ეს არიან თავისი სპეციალობის პროფესორები, უეჭველად პროფესორები, (მოძრაობა დარბაზში). მათ ცოტა უნდა ვასწავლოთ და მაშინ ისინი მრავალ ჩვენს „განსწავლულ" პროფესორს ჯიბეში ჩაისვამენ (სიცილი, მქუხარე ტაში).

ასეთი ადამიანებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ადვილი როდია, ისინი არიან ახალი ადამიანები; რომლებსაც სხვანაირად ესმით თავიანთი დანიშნულება და მნიშვნელობა წარმოებაში, მათ ძალიან მოხერხებულად უნდა გაუწიოთ ხელმძღვანელობა. ამხანაგმა დირექტორებმა, საამქროების უფროსებმა, საწარმოთა ინჟინრებმა ძალიან ბევრი, დაჟინებით, უნარიანად და სტალინურად პატიოსნად უნდა იმუშაონ თავიანთ თავზე, რათა შეეფერებოდნენ თავიანთ დანიშნულებას, იმისათვის, რომ არ მისჩანჩალებდნენ კუდში, არ ამთქნარებდნენ, არ იყვნენ ბანის მიმცემნი — შეიძლება კარგი, მაგრამ მაინც სხვისი დაწყებული სიმღერის ბანის მიმცემნი. ხელმძღვანელი მუდამ უნდა იყოს დამწყები, მოწინავე, მას უსათუოდ შესწევდეს უნარი სულ წინ და წინ წაიყვანოს ჩვენი საუცხოო კადრები; ისინი, ეს კადრები, მოიპოვებიან ჩვენი სახელმწიფო, სოციალისტური მუშაობის ყველა დარგში.

მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე იმ პროლეტარული მოძრაობის შემდგომ ამოცანათა განხილვასთან დაკავშირებით, რომელმაც სტახანოვური მოძრაობის სახელი მიიღო.

ამხ. ორჯონიკიძე გუშინ აბსოლუტურად სწორად ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვითხოვოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად როგორც ცალკეული მუშის, ისე მთლიანად მთელი წარმოების პროდუქციის ხარისხის აუცილებელი გაუმჯობესებაც.

ორჯონიკიძე: მართალია

ვოროშილოვი. ამხანაგებო, წარმოების მუშაკებო, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ყოველთვის სავსებით როდი გვაკმაყოფილებს იმ პროდუქციის ხარისხი, რომელსაც გვაძლევთ ჩვენ, წითელ არმიას.

ამხანაგებო, თქვენ იცნობთ ჩვენს თვითმფრინავებს, ხშირად ხედავთ ჩვენს ტანკებს, ზარბაზნებს, ტყვიამფრქვევებს, შაშხანებს, მთელს ჩვენს სამხედრო ამუნიციას. ყოველივე ეს საუცხოოდ გამოიყურება, ყოველივე ეს — შესანიშნავი ჩინებული, მძლავრი იარაღია. ცუდ ტანკებს არ შეუძლიათ დიდ ჯგუფებად რამდენიმე დღის განმავლობაში გაიარონ 700 კილომეტრი. აქედან სამი მეოთხედი წყალში, ისე, რომ არ ჰქონდეთ არცერთი ავარია და გატეხვის არცერთი შემთხვევაც კი. ისინი საუცხოო ტანკები, უნდა იყოს და ასეც არის.

ყოველგან და ყოველთვის ჩვენი მეომრები აჩერხებენ იმას, რომ ჩვენი მრავალტონიანი ტანკები დადიოდნენ და ცურავდნენ წყალში. ადვილად სძლევდნენ ტალახსა და ჭაობსაც, სძლევდნენ შესაძლო და შეუძლებელ დაბრკოლებებს. და ტანკები დადიან. ყველაფერი ეს ძალიან კარგია და ყოველივე ეს უდავო ფაქტებია.

პრეზიდიუმში გამოჩნდა ამხ. **სტალინი.** ყველა ფეხზე დგება. გაისმის ტაშის გრიალი, შეძახილები: „ვაშა". „გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ამხანაგ **სტალინს!**" „ვაშა". ტაში. „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ **სტალინს!** „ვაშას" ყიჟინა, ტაში. „ჩვენი სტახანოვური სალამი ამხ. **სტალინს!** „ვაშა", ტაში).

ამხანაგებო, ვიმეორებ, ჩვენი საბრძოლო მანქანები, ჩვენი შეიარაღება მთლიანად, მთელი ჩვენი ამუნიცია ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ რომ მკითხოთ — გვჭირდება, თუ არა ჩვენ და შეუძლია თუ არა ჩვენს მრეწველობას მოგვცეს დღეს ზოგიერთი იარაღის საუკეთესო ნიმუშები და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე ჩვენი მრეწველობიდან ვღებულობთ, მე ვიტყოდი: შეუძლია მოგვცეს უკეთესი და კარგი იქნებოდა ეს უკეთესი რაც შეიძლება ჩქარა მივიღოთ. (ტაში).

ასე ლაპარაკი საერთოდ: მოგვეცით უკეთესი პროდუქცია — სისულელე იქნებოდა, ვინაიდან უკეთესი — ძალიან ფართო, უსაზღვრო ცნებაა. კარგი მუდამ შეიძლება დაიფაროს უკეთესით და ასე დაუსრულებლივ. მაგრამ ზოგიერთი სახის შეიარაღების მხრივ ჩვენ ვიცნობთ ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ჩვენც უნდა გადმოვიღოთ. ჩვენ გარს გვარტყია სახელმწიფოები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად, ჩვენს მიმართ მტრულად არიან განწყობილი, ამასთან ბევრი უფრო „მეტად", ვიდრე „ნაკლებად". ამ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს ჰყავთ თავიანთი არმიები, თავიანთი სამხედრო ტექნიკით. და აი ჩვენ გვინდა ყოველგვარი სახის იარაღის, მთელი საბრძოლო ტექნიკის მხრივ გვქონდეს ყველაზე საუკეთესო ნიმუშები და ამასთან ერთად ძალიან გულმოდგინედ, ზუსტად და წესიერად დამზადებულნი.

თვითმფრინავებზე ჩვენი სტახანოველები — მეომრები, საუცხოო მფრინავები სასწაულებს ახდენენ. ასეთ ოსტატობაზე სხვა კლასების ადამიანებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ. მაგრამ „კარგი" თვითმფრინავებიც შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც ყველაზე საუკეთესო მსოფლიოში. თქვენ, ამხანაგო წარმოების მუშაკებო, გვაძლევთ მრავალ ისეთ მანქანას და რთულ ტექნიკას, რის თაობაზე სულ ამ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ ოცნება შეგვეძლო. მაგრამ მაინც ცოტაოდენი პრეტენზიები თქვენთან დღესაც გვაქვს. ამხ. **სტალინი,** რომელიც უშუალოდ მუშაობს არმიის შეიარაღების საკითხებზე, არა ერთხელ გვეუბნებოდა ამხ. **ორჯონიკიძეს,** მე და იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც უშუალოდ შეიარაღების საშუალებებს ამზადებენ, რომ ტანკები, თვითმფრინავები, ზარბაზნები — ეს საპონი, ასანთი, ნამცხვარი, არ არის ეს არის თავდაცვის საშუალებანი და ამიტომ კეთილი ინებეთ და იმუშავეთ ისე როგორც საჭიროა, კეთილ ინებეთ მოგვეცით ამ ხასიათის, პროდუქცია ისეთი ხარისხის, რომ მან არსად და არასოდეს არ უღალატოს ჩვენს შესანიშნავ მეომრებს, რომ იგი, ეს საბრძოლო პროდუქცია საუკეთესო იყოს ყოველივე იმას შორის, რასაც ჩვენი მრეწველობა ამზადებს.

და მე, ამხანაგებო, პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ამხანაგ **სტალინის** ამ მითითებებს ყველანი ჯერ კიდევ სათანადოდ როდი ასრულებენ. ეს მითითებანი კი შეიძლება და კიდეც უნდა შესრულდეს მთელი 100 პროცენტით. (მე ვფიქრობ, ეს მშვენიერი სტახანოვური მოძრაობა აუცილებლად უნდა დავნერგოთ (მიმართავს ამხ. **ორჯონიკიძეს**), ამხ. ორჯონიკიძევ, უწინარეს ყოვლისა და ჯეროვნად ჩვენს სპეციალურ წარმოებებში და დავნერგოთ ამ მოძრაობის არა ვიწრო გაგებით, (რათა მხოლოდ მეტი რაოდენობა დავამზადოთ), — არამედ სწორედ მთელი მოცულობით, მოძრაობის დედაარსის სწორად გაგების საფუძველზე, ე. ი. რომ ჩვენ გვაძლევდნენ რაოდენობასაც და აუცილებლად მაღალ ხარისხსაც.

ჩვენ გარშემორტყმული ვართ მრავალრიცხოვანი მტრებით. მართალია, მუშურ-გლეხური წითელი არმია ამჟამად მრისხანე ძალას წარმოადგენს, იგი ძლიერია თავისი უსაზღვრო ერთგულებით **ლენინ-სტალინის** საქმისადმი, იგი ძლიერია ხალხის ისეთი სიყვარულით, როგორიც არასოდეს არსად არ ყოფილა, იგი ძლიერია თავისი ორგანიზებულობით, დარაზმულობით, ძლიერია თავისი ახალი მრავალრიცხოვანი იარაღით. წითელი არმიის ძალა ურყევია. მაგრამ ჩვენ თვალს ვერ მოვხუჭავთ ჩვენი მტრების ძალაზე. ჩვენი მტრები სრულიადაც არ ფიქრობენ გზა დაუთმონ სოციალისტური სახელმწიფოს, პირიქით. მათი საწუკვარი ოცნებაა — თავს დაგვესხან. საბჭოთა კავშირი გაანადგურონ.

ჩვენ, ბოლშევიკებს, **ლენინისა** და **სტალინის** მოწაფეებს. არასოდეს შეგვდიოდა ეჭვი ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში. ახლა, როცა ჩვენი ძალები გაათკეცდა, ჩვენ არც კი ვაყენებთ საკითხს — გავიმარჯვებთ თუ არა მტერზე. გავიმარჯვებთ უეჭველად გავიმარჯვებთ. საქმე ეს კი არაა. ამჟამად საკითხი ასე დგას: რა ფასად, რა ძალღონით, რა მსხვერპლის გაღებით გავიმარჯვებთ? მე პირადად ვფიქრობ, ასე ფიქრობს ამხანაგი **სტალინი**, ასე ფიქრობს ამხანაგი **ორჯონიკიძე**, მთელი ჩვენი ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა, — **რომ ჩვენ უნდა დავამარცხოთ მტერი, თუ იგი გაბედავს ჩვენზე თავდასხმას. — ნაკლები სისხლის დაღვრით, მინიმალურ საშუალებათა დახარჯვით და ჩვენი სახელოვანი მეომრების, რაც შეიძლება ნაკლები სიცოცხლის შეწირვით** (ტაში). და რაკი საქმე ასეა, — ხოლო სხვანაირად არც შეიძლება იყოს, — ჩვენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ და სწრაფად მივაღწიოთ, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შეიარაღება, აღჭურვილობა, მომარაგება იყოს პირველხარისხოვანი, საუკეთესო მსოფლიოში (ტაში). შეგვიძლია თუ არა ამას მივაღწიოთ? უეჭველად შეგვიძლია! ყველაფერი აუცილებელი ჩვენ უკვე გვაქვს. ჩვენ ამას უნდა მივაღწიოთ და მივაღწევთ კიდეც (ტაში).

ქვეყნად, დასავლეთში და აღმოსავლეთშიც, მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ თავის სიძულვილს ჩვენდამი და გამალებით ემზადებიან, რათა ლაშქარი ჩაგვცენ. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, რაც უფრო უკეთ იმუშავებენ ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და რკინიგზები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები; რაც უფრო წარმატებით განვითარდება სტახანოვებისა და ბუსიგინების, სმეტანინებისა და კრივონოსების, ვინოგრადოვებისა და დემჩენკოების მოძრაობა, მით უფრო ძლიერი და ორგანიზებული იქნება წითელი არმია, მით უფრო უიმედო იქნება მტრების ცდები — დაიწყონ ბრძოლა ჩვენთან.

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი საუცხოო მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ჩვენი მეცნიერნი, სამეურნეო მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები და ჩვენ, წითელი არმიის მეომრები, ჩვენი **სტალინის** წინამძღოლობით, სულ მოკლე ვადებში მივაღწევთ შრომის, ცხოვრებისა და კულტურის ყველა დარგში ზრდისა და აყვავების ახალ, [illegible] არნახულ ტემპებს.

ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს ახალ გამარჯვებათაკენ მიგვიძღვება სოციალისტური რევოლუციის პირველი მარშალი, როგორც სამოქალაქო ომის, ისე სოციალისტური მშენებლობის და ჩვენი პარტიის, დიდი **ლენინის** მემკვიდრეობის განმტკიცების ფრონტებზე გამარჯვებათა დიდი მარშალი, მთელი კაცობრიობის კომუნისტური მოძრაობის მარშალი — ჩვენი დიდი **სტალინი.** (ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „ვაშა!" ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება). მას, კომუნიზმის ამ ჭეშმარიტ მარშალს — **სტალინს**, მას, დიდ ადამიანთა შორის უდიდეს ადამიანს — **ლენინის** მემკვიდრეს, მას, რომელიც დღითიდღე ჩვენ ყველას გვიჩვენებს ბოლშევიკური მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს. მას, **სტალინს**, რომელმაც ყველა სხვაზე უკეთესად იცის, თუ რა უნდა გავაკეთოთ დღეს, რომ ხვალ გავიმარჯვოთ და გავიმარჯვოთ საბოლოოდ — ჩვენი პროლეტარული ვაშა!

ჩვენს სტახანოველებს, ბუსიგინელებს, ვინოგრადოველებს, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ადამიანებს — ვაშა!

(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „ვაშა დიდ სტალინს! ვაშა". მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება სტალინს).

ყველა საწარმოში ხდება სტახანოველთა შეკრების მასალის კითხვა.

სურათზე: ტფილისის დეპოში. ადგილობრივი დეპოს პარტკომის მდივანი ამხ. მამარაშვილი დასვენების დროს კითხულობს ამხ. კაგანოვიჩის სიტყვას სტახანოველთა შეკრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველ საკავშირო თათბირზე*)

ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ მათ თავისი საჭიროება არ იციან და თავის საჭიროებაზე არ ლაპარაკობენ. არა! თავის საჭიროებაზე ისინი ძალიან კარგად ლაპარაკობდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ, არა გვაქვს პიანინოები, პატეფონები, არა გვაქვს კარგი ფირფიტებიო.

მოთხოვნები სულ სხვანაირი გახდა!

ეს მოწმობს განვითარების ახალ საფეხურს, რაზედაც ჩვენ წინათ ვოცნებობდით და რის დადგომასაც დიდხანს ვამზადებდით.

კვების მრეწველობის მუშაკები ამაყობენ იმით, რომ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად ჩვენი კვების მრეწველობა ისე გაიზარდა, რომ პირველ ოქტომბრიდან საყოველთაოდ გაუქმებულია ბარათები ყველა საკვებ პროდუქტზე.

ყოველივე ის, რასაც კვების სახალხო კომისარიატი აწარმოებს, ახლა თავისუფლად იყიდება მთელ მოსახლეობაზე (ტაში).

საბარათო სისტემა იოლი და სასიამოვნო იყო კვების საწარმოთა უფროსებისათვის, პროდუქტები საკმარისი არ იყო და ყველაფერს, რაც კი მზადდებოდა, ხელათ იტაცებდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მრეწველობა იძლეოდა. რაღათ ეცდები გამოუშვა კარგი პროდუქცია, როდესაც ცუდსაც მიაქვთ? საბარათო სისტემა რყვნიდა კვების მრეწველობის მუშაკებს. პირდაპირ შეგრცხვებოდა იმ ძეხვისა და კამფეტის დანახვა, რომელსაც იმხანად ბევრი საწარმო ამზადებდა. ჯერ კიდევ ბევრად ადრე საბარათო სისტემის გაუქმებამდე ამხანაგი სტალინი დაგვეხმარა იმით, რომ მოგვთხოვა ბრძოლა საქონლის კარგი ხარისხისათვის.

ამხ. სტალინმა ამავე დროს მოგვცა სწორი ორგანიზაციული რჩევა. მე ვუამბობდი ამხანაგ სტალინს, რომ მუშებისათვის კვების საწარმოები ცუდ საქონელს უშვებენ, ამავე დროს კი საექსპორტოდ საუცხოო კარაქს, ხორცს, ოდეკოლონს, მშვენიერ ძეხვს ამზადებენ მეთქი. ამხ. სტალინმა მაშინ მირჩია:—გამოიმუშავეთ, თითქოს ექსპორტისათვის ამზადებდეთ, ხოლო საზღვარგარეთ კი ნუ გაგზავნით, არამედ ჩვენს მაღაზიებს მიაწოდეთო (ტაში).

თითქოს პატარა ეშმაკობაა, მაგრამ იგი კარგი იარაღი გამოდგა იმ მომენტში, როდისაც საჭირო იყო გვესწავლებინა ადამიანებისათვის კარგი საქონელი მიეწოდებინათ არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ბაზრისთვისაც.

ხოლო იმისათვის, რომ გვეშენებინა მძიმე ინდუსტრია, რომ საზღვარგარეთიდან შემოგვეტანა ოქროდ ნაყიდი დაზგები და მანქანები სატრაქტორო, საავტომობილო და სხვა ქარხნების მშენებლობისათვის, ჩვენ იძულებული ვიყავით საზღვარგარეთ გაგვეტანა თვით ჩვენთვის საჭირო საკვები პროდუქტები.

ამან გვასწავლა გვემუშავნა ექსპორტისათვის როგორც რიგი და წესია. ახლა ჩვენ ბევრი ქარხანა ავაშენეთ, ჩვენ თვითონ ვაკეთებთ დაზგებსა და მანქანებს, რომლებიც წინათ უცხოეთიდან უნდა შემოგვეტანა, და ახლა აღარ გვესაჭიროება დავაკლოთ ჩვენს მომხმარებლებს კარაქი, ხორცი, კვერცხი და სხვა თვითონ ჩვენთვის საჭირო საკვები პროდუქტები საზღვარგარეთ გასატანად (ტაში).

ყოველივე ამას ახლა ვგზავნით ჩვენს საბჭოთა მაღაზიებში გასასყიდად, იმიტომ რომ ყოველმხრივ გავამაგრეთ ჩვენი მრეწველობა, გავაძლიერეთ ოქროს მრეწველობა, იმიტომ რომ ახლა ჩვენ მძლავრი, სავსებით დამოუკიდებელი, დიდი მსოფლიო სახელმწიფო ვართ. (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! ვაშა!").

ახლა ჩვენში ყველგან გახსნილია მაღაზიები, საქონელი იქ კარგი იგზავნება. ბარათები გაუქმებულია. ხოლო საქონლის ხარისხს თვალყურს ადევნებენ კვების მრეწველობის მუშებიც და ყველა მომხმარებელიც. არა მარტო ჩვენი ფაბრიკების მუშები სცდილობენ გამოიმუშაონ კარგი პროდუქცია, არამედ საბჭოთა ქვეყნის ყოველი მცხოვრებიც იბრძვის საქონლის კარგი ხარისხისათვის თუნდაც იმით, რომ ცუდი საქონელი აღარ მიაქვს. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს საქონელი. თუ ერთ მაღაზიაში არ მოეწონება, მეორეში წავა. ჩვენ გვაქვს საკვები პროდუქტების შესანიშნავი მაღაზიები, რომლებიც საზღვარგარეთაც შეიძლება შეშურდეთ. მაღაზიებში მაღალხარისხოვანი საქონელი არჩევით იყიდება. ახლა კვების საწარმოებში უკვე იციან, რომ ცუდ ძეხვსა და ცუდ საპონს არავინ იყიდის, ეს საქონელი ჩაწვება და გაფუჭდება, ზარალს მიაყენებს ქარხანას, სკანდალი გამოვა, ჩაერევა სახალხო კომისარიატი, ანდა იქნებ თვით პარტიული და საბჭოთა კონტროლიც (სიცილი).

კვების ინდუსტრიის სტახანოველები ახლა ზოგჯერ ხვდებიან ისეთ მდგომარეობას, რომ პროდუქცია ვერარსად წაუღიათ და ამაში მუშებს როდი მიუძღვით ბრალი. აი, მაგალითად, კამფეტის ფაბრიკები ცუდ კამფეტს როდი ამზადებენ, მაგრამ არ ჰყოფნით შესახვევი ქაღალდი და იძულებული არიან ეს კამფეტი შეუხვევლად გაუშვან სავაჭრო ქსელში, შაქრის ფუდრმოყრილი, რომ სისველისგან დაიცვან. რა თქმა უნდა, აქეთი კამფეტი ხალისიანად არ მიაქვთ, მეტადრე ქალაქებში, ხოლო მისი გაგზავნა უფრო შორეულ რაიონებში, სადაც მოთხოვნილება უფრო დიდია, კოოპერაციას ცუდადაა აქვს დაყენებული. კამფეტის ფაბრიკებში გამოუყენებელი დგას კამფეტის შესახვევი ბევრი საიმპორტო მანქანა-ავტომატი, რადგან თხელი ქაღალდი საკმარისი არ არის. ამხ. ლობოვმა უნდა აკეთოს საერთოდ მეტი ქაღალდი, მეტადრე კი სპეციალური ხარისხისა კვების მრეწველობისათვის, თორემ კვების მრეწველობის ბევრი დარგის განვითარება შეფერხდება და თვალსაჩინოდ გაძნელდება მაღალი ხარისხის საქონლის კიდევ მეტი რაოდენობით გამოშვება.

ასეთსავე სიძნელეებს განიცდის საკონსერვო მრეწველობა თეთრი თუნუქის მწვავე ნაკლებობის გამო. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად უნდა გაადიდოს თეთრი თუნუქის გამოშვება, რათა უზრუნველჰყოს კონსერვის მრეწველობა ქილებით. თუნუქი რომ გვქონდეს, ჩვენი სტახანოველები უკვე ახლავე შესძლებდნენ ბევრად მეტ მილიონ ქილა კონსერვის გამოშვებას, ვიდრე ახლა ვუშვებთ. ქარხნების სიმძლავრე და ნედლეულის არსებობა ამის საშუალებას იძლევა, მხოლოდ თუნუქი არა გვაქვს. ახლა ჩვენ შაქრისთვის საწყობები და ტომრებიც არ გვყოფნის. ყოველივე ეს ახალი სიძნელეებია, რასაც ჩვენ წინათ არ ვიცნობდით, როდესაც ცოტა პროდუქციას ვუშვებდით.

მოლოტოვი. ტომრებს მოგცემენ.

მიქოიანი. მე ვთხოვ ამხ. რუბარს დამატებით მოგვცეს ხუთი მილიონი ტომარა, რადგან შაქარი ვერსად ჩაგვიყრია.

1932-33 წ. კვების მრეწველობა ცუდად მუშაობდა თავისი ჩამორჩენილობისა და მისთვის ნედლეულის მიმწოდებელი სოფლის მეურნეობის დაბალი დონის მიზეზით. 1934 წლიდან მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით ვიდა წინ. ჩვენ ვცდილობთ დავეწიოთ წარმოების ტემპებით და კვალდაკვალ მივყვეთ მძიმე მრეწველობას. მართალია, ამხ. ორჯონიკიძის დაწევა და გასწრება საერთოდ ძნელია. მძიმე მრეწველობის დაწევა ძნელია. მაგრამ საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობას მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს. (ტაში).

შარშან კვების სახალხო კომისარიატის პროდუქცია 25 პროცენტით გაიზარდა. წლის ათი თვის განმავლობაში—24,6 პროცენტით, ამრიგად ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს კვების მრეწველობის პროდუქციის მატება 50 პროცენტით.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ისეთი საქონლის წარმოების ზრდა, რომელიც წინათ საკმაო არ გვქონდა. 1933 წ. ჩვენ ვაწარმოებდით 2500 ათას ყუთ წეკოს, წელს—3.600 ათასს. ჩვენ საკმარისად ვაწვდით წეკოს ყველას, ვისაც კი იგი ესაჭიროება, ვისაც კი მისი ყიდვა უნდა. პაპიროსიც საკმაო გვაქვს.

1932 წელს ცუდი მდგომარეობა გვქონდა საპნის წარმოებაში. ამხანაგმა სტალინმა მაშინ მთელი სკანდალი ასტეხა, ჩვენს ქვეყანაში აქა-იქ ტიფი ჩნდებოდა. ტანი ვერაფრით დაებანათ. ჯანსახკომის ექიმები კი დადიოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ: „ამხანაგებო, ჯანისათვის მარგებელია ტანის დაბანა. დაიბანეთო". ადვილი სათქმელია „დაიბანეთ", როცა საპონი არ არის (სიცილი).

მაშინ ამხ. სტალინის წინადადებით საპნის მრეწველობა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან კვების მრეწველობას გადმოეცა. ახლა საპნის წარმოება გაიზარდა. 1933 წელს ჩვენ ორასორმოცდაათი ათას ტონა საპონს ვამზადებდით. 1935 წელს ვამზადებთ ოთხასოცდაათი ათას ტონას, ამასთან უკეთესი ხარისხის საპონს. აი ეხლა კარგი იქნება ჯანსახკომის მუშაკებმა გასწიონ აგიტაცია, რომ ყველა რაც შეიძლება ხშირად იბანდეს და მეტ საპონსა ყიდულობდეს.

როდესაც კვების სახალხო კომისარიატს საპნის მრეწველობა გადმოსცეს, მე, ამხანაგ სტალინის მითითების მიხედვით, საპნის მხარშავებს დავუსახე ამოცანა—არა მარტო გაედიდებინათ საპნის წარმოება, არამედ გაეუმჯობესებინათ ხარისხიც. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ისე მუშაობა, როგორც ამხანაგი სტალინი მუშაობს. ჩვენს სტალინს სიბრძნის დაუშრეტელი წყაროები აქვს. ჩვენ კიდევ მრავალ წელს ვისწავლით მისგან მუშაობის სტალინურ სტილს (ტაში).

მე მივიხმე საპნის მრეწველობის წარმომადგენლები და ვუბრძანე აღედგინათ საუკეთესო ხარისხის საპონი, მაგრამ თვითონ არ გამისაზღვრავს, თუ კონკრეტულად რა ხარისხის საპონი გამოეშვათ, რა რეცეპტურით, რანაირათ შეფუთული, რა სიდიდისა. ამ საკითხებს თვალყური ვეღარ გავადევნე და იგი მთავარ სამმართველოს და საწარმოთა დირექტორებს მივანდე.

ტფილისის სტალინის სახელობის ორთქლმავლების სარემონტო ქარხნის სახელოსნო საამქროს საუკეთესო სტახანოველები: ამხ. კერნერი, ლორთქიფანიძე, მამულაშვილი და მაიშჩენკო.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნით ამხ. ნიკიტა იზოტოვი; კუიბიშევის საკარბიურატორო ქარხნის 17 წლის ხარატი კომკავშირელი, საუკეთესო დამკვრელი ბუსიგინელი, სტახანოველთა საკავშირო თათბირის მონაწილე კოლია კურიანოვი; სერგო ორჯონიკიძე და დუსია ვინოგრადოვა

ამხ. სტალინმა კი მითხრა: „მოიტანე საპნის ნიმუშები ცენტრალურ კომიტეტში, იქ იქნებიან მოლოტოვი, კაგანოვიჩი, შევამოწმებთ, დეე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცოსო".

მივიტანე ნიმუშები. ამხ. სტალინმა ამხ. მოლოტოვისა და კაგანოვიჩის მონაწილეობით ყურადღებით შეამოწმა საპნის ყველა ნიმუში, გაეცნო თვითეული ხარისხის რეცეპტურას, თვითეული ნაჭერი ხელსაპნის წონას, მთელი რიგი ნიმუშები დაიწუნა, სხვები აქო და წინადადება მოგვცა ფართოდ გამოგვეშვა, ზოგიერთი ხარისხის შეცვლა დაგვავალა. ჩვენ მივიღეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილება საპნის წარმოების, საპნის ასორტიმენტისა და რეცეპტურის შესახებ.

აი როგორ მუშაობს ამხანაგი სტალინი და როგორ გვასწავლის მუშაობას. თუ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თვით ამხანაგი სტალინი პირადად უშუალოდ ჰკიდებს ხელს ისეთ საკითხს, როგორიც არის საპნის ასორტიმენტი და რეცეპტურა, ჩვენ, სახკომები და სამეურნეო მუშაკები, ვალდებული ვართ ათასჯერ მეტად, ვიდრე ამხანაგი სტალინი, უშუალოდ ჩავწვდეთ ამ საქმეებს. სწორედ ეს არის სტალინური მეთოდი, — შიგ ჩასწვდე საკითხს, ბოლშევიკურად გაარჩიო იგი, კონკრეტულად გადასწყვიტო და წინ წასწიო საქმე არა ზოგადი სიტყვებით, არამედ შესრულების ორგანიზაციით.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს წარმატებებზე ძეხვის წარმოებაში. დღეს მოსკოვის ხორცკომბინატში, მაგალითად, ჩვენ ყოველდღე, 30—40 ათას კილოგრამის ნაცვლად, 145 ათასს კილოგრამ ძეხვს ვამზადებთ, აქედან 45 ათასს კილოგრამ კუპატს („სოსისკის").

ყოველდღე ნახევარი მილიონი მოსკოველი მადიანად შეექცევა ჩვენს კუპატს. ეს დიდი საქმეა, ვინაიდან ყოველივე ის, რაც მასებს, მილიონობით ადამიანებს შეეხება, ბოლშევიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ძეხვის წარმოების საქმე ჩვენ არა მარტო მოსკოვში გავაძლიერეთ, არამედ ლენინგრადში და მთელ რიგ სხვა ქალაქებშიაც. შარშან კვების სახალხო კომისარიატმა სულ 47 ათასი ტონა ძეხვი დაამზადა. ხოლო 1935 წლის ათი თვის განმავლობაში უკვე დამზადებული და გაყიდულია 76 ათასი ტონა ძეხვი, რაც უზრუნველჰყოფს 1935 წელს წარმოების გაორკეცებას 1934 წელთან შედარებით.

ამ საქმითაც პირადად ამხანაგი სტალინი დაინტერესდა. როდესაც მე მას ვუამბე, მინდა წინ წავსწიო კუპატის წარმოება-მეთქი, მან ყოველნაირად მხარი დამიჭირა და მითხრა: ყოველნაირად წასწიე ეს საქმეო". ამასთან ამხანაგმა სტალინმა მიმითითა, ამერიკაში არიან ადამიანები, რომლებიც კუპატის წარმოებით მილიონერები გახდნენო.

ხოლო ამერიკის პრაქტიკა ჩვენ უნდა შევისწავლოთ, ვინაიდან თუ კაპიტალისტებისაგან უნდა ვისწავლოთ, პირველ რიგში უნდა ვისწავლოთ ამერიკელებისაგან.

ჩვენს ქვეყანას, ისევე როგორც ამერიკას, ვეებერთელა ტერიტორია და უდიდესი მოსახლეობა აქვს. ისევე, როგორც ამერიკაში, დიდ მრეწველობასთან ერთად აქვს ფართოდ განვითარებული სოფლის მეურნეობა. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ამერიკა წარმოადგენს იმ ქვეყანას, სადაც ყველაზე მაღალია შრომის ხელფასი, ხოლო ჩვენი მუშების ხელფასი ვითარდება და კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ამერიკას ჰქონდა მრეწველობის განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპები, რომლებიც მრეწველობის განვითარების ჩვენს ტემპებს უახლოვდებოდა. ბოლოს, ამერიკა წარმოადგენს ყველაზე მოწინავე ტექნიკის ქვეყანას ისევე, როგორც ჩვენ, ვინაიდან მას ფეხს არ უბორკავს ძველი კაპიტალისა და ძველი მოწყობილობის ხუნდები, როგორც, მაგალითად, ინგლისში.

აი რატომ უნდა ვაკვირდებოდეთ ამერიკას, რათა ყოველივე საუკეთესო გადმოვიტანოთ. მთელს ჩვენს ხორცისმრეწველობას ჩვენ ვაგებთ ამერიკის ხორცისმრეწველობის ტიპის მიხედვით. ყოველივე ამას ვშვრებით კერძოდ ძეხვის წარმოებაშიაც.

ჩვენ შევუდექით ძეხვის წარმოების გაშლას და გავითვალისწინეთ საპნის წარმოების გაშლასთან დაკავშირებით ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული გაკვეთილი.

კვების სახალხო კომისარიატმა მოიწვია ძეხვის წარმოების საუკეთესო ოსტატები და სპეციალისტები. ჩვენ გულდასმით განვიხილეთ, მათთან ერთად ამერიკული რეცეპტურა, რუსეთის ძველი ძეხვის ქარხნების რეცეპტურა, გერმანული რეცეპტურა, ამოვირჩიეთ საუკეთესო ხარისხები და წარმოებისათვის დავამტკიცეთ 113 ხარისხის ძეხვი და შაშხეულობა. კვების სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ არცერთ საწარმოს, არცერთ საწარმოს დირექტორს არა აქვს უფლება დაარღვიოს დამტკიცებული რეცეპტურა.

ყველამ, ვინც კი ყოფილა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატისა და კვების სახალხო კომისარიატის საპროდუქტო მაღაზიებში, იცის არა მარტო ჩემი ცნობიდან, რომ ჩვენ ვისწავლეთ პირველხარისხოვანი, ფართო ასორტიმენტის საუკეთესო ხარისხის და დიდი რაოდენობის ძეხვის გამოშვება. კვების მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგებიც აძლევენ ჩვენს მომხმარებელს, ჩვენს შესანიშნავ სტახანოველებს, მუშებს, მუშა-ქალებს მშრომელთა კარგ საკვებ პროდუქტებს, რათა მათ შეძლოთ კარგად მუშაობის შემდეგ კარგადაც შეექცნენ.

წელს დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა თევზის მრეწველობამ. 1933 წელს კვების სახალხო კომისარიატის თევზის მრეწველობამ, თუ არ ჩავთვლით ადგილობრივ მრეწველობას, მოგვცა 10,2 მილიონი ცენტნერი თევზი, 1935 წელს ჩვენ მივცემთ ჩვენს ქვეყანას 13 მილიონ ცენტნერს, ე. ი. 18 მილიონი ფუთით მეტს, ვიდრე 1933 წელს. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მურმანსკის მეთევზეებმა, რისთვისაც ისინი დაჯილდოებული არიან ორდენებით.

აზოვ-შავი ზღვის თევზის ტრესტი მეხუთე წელია ასრულებს თავის გეგმას. წელსაც ამ ტრესტმა ვადაზე ადრე შეასრულა თავისი გეგმა. აზოვის ტრესტის მმართველი ამხ. ანდრიევსკი უკვე მეხუთე წელია კარგად ხელმძღვანელობს ტრესტის მუშაობას.

ვადაზე ადრე დაამთავრა წლიური გეგმა ვოლგა-კასპიის თევზის ტრესტმა, გაზაფხულზე კარგი მუშაობის მეოხებით. მაგრამ შემოდგომის სეზონი ტრესტმა უფრო ცუდად ჩაატარა, ვიდრე გაზაფხულისა.

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული სიძნელეებისა და მუშა-ხელის კიდევ არსებული დენადობის მიუხედავად, წლიური პროგრამა ვადაზე ადრე შეასრულა შორეულ-აღმოსავლეთის პრიმორიეს თევზის ტრესტმა, შორეული აღმოსავლეთის ყველაზე დიდმა ტრესტმა, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. კარაპეტნიცკი. ამხ. კარაპეტნიცკიმ კარგად იცის თევზის საქმე და ცუდად როდი ხელმძღვანელობს ტრესტს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ თავისი გეგმების შეუსრულებლობის მრავალი წლის შემდეგ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმა ასთაკვსჭერის ტრესტმა, რომლის მმართველია ამხ. ჩაპლიგინი. ამ ტრესტს აქვს 9 დიდი გემი, რომლებიც იჭერენ ასთაკვს („კრაბს") ოკეანეში იაპონელ მეასთაკვეთა გვერდით. თვითეული ეს გემი წარმოადგენს მცურავ საკონსერვო ქარხანას, რომელიც იჭერს ასთაკვს და ამუშავებს მას კონსერვად. ეს კონსერვი საუცხოო ხარისხისაა და წლევანდლამდე მთლიანად საზღვარგარეთ გადიოდა.

წყნარ ოკეანეში სამი წელია მუშაობს ჩვენი ვეშაპებზე მონადირე ფლოტილია, რომელშიაც შედის ვეშაპისსაჭერი სამი ხომალდი და საბაზო გემი „ალეუტი". ეს უკანასკნელი ვეშაპის გადასამუშავებელ ქარხანას წარმოადგენს. 1933 წელს ფლოტილიამ ინადირა 203 ვეშაპი, 1934 წ. — 339, 1935 წ. — 487 ვეშაპი. ფლოტილიას მეთაურობს ამხ. დუდნიკი, რომელიც ორი წელიწადია ზედიზედ საფუძვლიანი გადაჭარბებით ასრულებს წარმოების გეგმას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასთაკვისა და ვეშაპისმჭერთა მთელი ეს პირველხარისხოვანი ტექნიკა, ისევე როგორც თევზის მრეწველობის მთელი მძლავრი შეიარაღება, შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ (ტაში).

წლის დასაწყისში ამხანაგმა სერგომ მთხოვა რაც შეიძლება ბლომად მიმეცა სპირტი, რომელიც საჭიროა სინთეზური კაუჩუკის წარმოებისათვის. მე შევუდექი ამ საქმეს. კარგად მოეკიდა მუშაობას მთავსპირტის უფროსი ამხ. გილინსკი და ჩვენ იმდენი სპირტი დავამზადეთ, მისი იმდენი მარაგი შევქმენით, რომ ახლა დავეძებ, ვის მივყიდოთ. არაყად ბევრი არ მიდის და სტახანოველებისთვის უხერხულია ბევრი დალიონ (სიცილი). კომბაინერებისთვისაც უხერხულია.

ტაგანროგის ქარხნის მეფოლადემ ამხ. ბობილიოვმა გვიამბო აქ, რომ როდესაც შევიკრიბეთ იმის განსახილველად, თუ როგორ მოგვეგვარებინა მუშაობა სტახანოვურად, მხოლოდ ჩაის ვსვამდითო (სიცილი). კარგია, რომ მარტო ჩაი გისვამთ! ამხანაგ გილინსკის კი გული სწყდება, ხალხი ცოტა არაყსა სვამს და გეგმას მირღვევსო (სიცილი).

1935 წელს ნაკლები არაყი გაიყიდა, ვიდრე 1934 წელს, ხოლო 1934 წელს ნაკლები, ვიდრე 1933 წელს, მიუხედავად იმისა, რომ არაყის ხარისხი სერიოზულად გაუმჯობესდა. ეს არის კვების სახალხო კომისარიატის წარმოების ერთადერთი დარგი, რომელიც წინ კი არ მიდის, არამედ უკან, რაც ანაწყენებს ჩვენი არაყისმრეწველობის მუშაკებს (სიცილი).

მაგრამ არა უშავს რა, რომ ჩვენი სპირტის მრეწველობის მუშაკები განაწყენებული არიან. არა უშავს რა რომ ხალხი ქალაქად და სოფლად სულ ნაკლებ და ნაკლებ არაყსა სვამს.

— ეს კარგია. ამხანაგი სტალინი დიდი ხანია გვეუბნებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულ ზრდასთან ერთად არაყის მოხმარების დონე დაიწევს, ხოლო კინოს და რადიოს როლი და მნიშვნელობა გაიზრდებაო.

მაგრამ სპირტის მრეწველობის მუშაკებსაც არაფერი აქვთ გულდასაწყვეტი. სპირტი სულ მეტი და მეტი რაოდენობით მოხმარდება კაუჩუკის წარმოებას და სხვა ტექნიკურ საჭიროებებს.

ჩვენი ქვეყანა ახლა ახალ მოთხოვნებს გვიყენებს: იგი მოითხოვს პატეფონებს, პიანინოებს, კინოს, რადიოს. ჩვენი ქვეყანა სულ უფრო და უფრო მეტად ცხოვრობს ახალი კულტურული საბჭოთა ცხოვრებით. (ტაში).

შაქრის მრეწველობას წელს უდიდესად შეუწყეს ხელი კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც ბევრი ჭარხალი მოგვცეს. შაქრის ქარხნები კარგად მოვამზადეთ საწარმოო სეზონისათვის, სასწრაფოდ შევამოწმეთ რემონტის ხარისხი ქარხნების ამუშავებამდე. შაქრის ქარხნები შეუფერხებლად მუშაობენ.

უნდა ითქვას, რომ კვების მრეწველობას შეუძლია შეუფერხებლად იმუშაოს და გადაჭარბებით შეასრულოს თავისი გეგმები (და არა მარტო კვების მრეწველობას) მხოლოდ იმიტომ, რომ ამხ. კაგანოვიჩმა, მადლობელი ვართ მისი, ასე სწრაფად და მაღლა ასწია ტრანსპორტის მუშაობა (მქუხარე ტაში, „ვაშას" ძახილი, დარბაზში ისმის: „ვაშა" ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მემანქანეს ამხ. კაგანოვიჩს"!)

შაქრის მრეწველობის ზრდის ციფრები თავისთავად მეტყველებენ. 1934 წელს დამზადებულ იქნა 98 მილიონი ცენტნერი ჭარხალი, წელს უკვე დავამზადეთ 140 მილიონი ცენტნერი, ხოლო ამოვთხარეთ 154—155 მილიონი ცენტნერი. ჭარხლის ხარისხი, მისი შაქრიანობა წელს უმაღლესია ყველა წინა წელთან შედარებით. მე ცალკე უნდა აღვნიშნო უკრაინის პარტიული და საბჭოთა ორგანოების კარგი მუშაობა ჭარხლის დარგში, პირველყოვლისა ხარკოვის და ვინნიცის ოლქებში, რომლებმაც ჭარხლის ყველაზე მაღალი მოსავალი მოგვცეს. კარგად მუშაობდა აგრეთვე ვორონეჟის ოლქი.

შაქრის დანაკარგი ნაკლებია, ვიდრე მთელ წინა წლებში. 10 ნოემბრისათვის მიღებული ცნობებით, დანაკარგი შეადგენს ჭარხლის წონის 2,27 პროცენტს, ნაცვლად დაწესებული 2,42 პროცენტისა და წინათ არსებული სამი და მეტი პროცენტისა. ეს დიდი წარმატებაა.

შაქრის ქარხნებმა თავისი მუშაობის პრაქტიკაში დაამხეს წარმოების ტრადიციული ნორმები. ქარხნები საშუალოდ 12,7 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ ჭარხლის გადამუშავების დღეღამის ნორმას. ხოლო არის ისეთი ქარხნები, რომლებიც ნორმას 20 და მეტი პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ. არასოდეს არ ყოფილა შაქრის ქარხნების ისეთი ნაყოფიერება, როგორც წელს.

ჩვენ გვაქვს პროგრამის გადაჭარბებით შესრულება ნაკლები დანაკარგის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ხორციელდება ამხანაგ სტალინის ლოზუნგი „ტექნიკას ისეთ

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ამხანაგ პოსტიშევის სიტყვა

ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა ნება მომეცით უკრაინის ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის მთავრობისა და უკრაინის ყველა მშრომელის სახელით მხურვალე ბოლშევიკური სალამი გიძღვნათ თქვენ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს (ტაში).

ამხანაგებო! ყველა ის გიგანტური დაბანდება სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებმა მოახდინეს განვლილი წლების განმავლობაში, უკვე იძლევა მეურნეობის ყველა სახეობისა და დარგის მიხედვით მანქანებს, ბამბას, პურს და სხვას. მაგრამ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემია ახალი ადამიანები, სოციალისტური ტიპის ადამიანები. სტახანოველები, კრივონოსელები, ბუსიგინელები, დემჩენკოელები, ვინოგრადოველები—აი ესენი არიან ახალი ადამიანები, პროლეტარული ოქტომბრის მიერ შობილი და აღზრდილი ადამიანები. ეს, ამხანაგებო, პროლეტარული რევოლუციის ყველაზე მძლავრი ძალაა, ახალი ადამიანები, ბოლშევიკური ადამიანები—ეს, ამხანაგებო, ყველაზე გამანადგურებელი ძალაა მთელი კონტრრევოლუციისათვის.

ამხანაგებო, ყველა ჩვენმა მტერმა დაკარგა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესაძლებლობის ყოველგვარი იმედი. ისინი ახლა ასე მსჯელობენ: „ბოლშევიკებმა შექმნეს ძლიერი წითელი არმია, ამას გარდა ჰყავთ თავისი განსაკუთრებული, კარგად ორგანიზებული პოლიცია—მთავარი პოლიტსამმართველო. ამიტომ რაიმე აჯანყებაზე ფიქრი ახლა საბჭოთა კავშირში შეუძლებელია. ბოლშევიკები ჩააქრობენ აჯანყებას".

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების მტრების წარმოდგენა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე, მის ძალაზე და შინაურ მდგომარეობაზე. რა უყოთ, ამიტომაც არიან ისინი მტრები! მაგრამ ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი ქვეყნის დაუძლეველი ძალა—ეს მილიონ მუშებსა და გლეხებშია, რომლებიც სამუდამოდ განთავისუფლდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან და ახლა თავისთვის, თავის სამშობლოსთვის მუშაობენ. საბჭოების ქვეყნის ძალა, ამხანაგებო, იმაშია, რომ მას ჰყავს ისეთი საუცხოო ვაჟები და ქალები, როგორიც თქვენ ხართ, აქ დამსწრე სტახანოველები, კრივონოსელები, ბუსიგინელები და მილიონობით სხვანი, რომელნიც თქვენ მოგყვებიან, ცდილობენ თქვენ გაგისწორდეთ. განა შეიძლოთ ჩვენს მტრებს არ შეენიშნათ ეს ძლიერი სტახანოვური მოძრაობა, როგორც მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხის მოძრაობის დასაწყისი, მოძრაობა მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის, შრომის მაღალი ხარისხისათვის, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სრულ ფასიან სოციალისტურ ცხოვრებას.

რასაკვირველია, სტახანოვური მოძრაობის მტრები ხედავენ კიდეც, გრძნობენ კიდეც და მათ კარგადაც იციან, რომ მათი უბედურება მარტო ჩვენს სახელოვან ძლევამოსილ წითელ არმიაში არაა, არამედ ჩვენს საბჭოთა ხალხშიც, ამ მილიონ ახალგაზრდა ახალ ადამიანებში, რომლებიც პროლეტარულმა ოქტომბერმა ჰშვა. ტყუილად კი არ ცდილობენ მტრები ყოველნაირად სახელი გაუტეხონ სტახანოვურ მოძრაობას და არა მარტო სახელი გაუტეხონ.— საბჭოთა ხელისუფლების მტრები სდევნიან სტახანოველებს. მაგრამ ისინი ვერ შეაშინებენ და ვერ შეაჩერებენ ამ მძლავრ მოძრაობას, რადგან ეს არის გამარჯვებული ქვეყნის ხალხის მოძრაობა.

ამხანაგებო, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით შევჩერდე თვით სტახანოვურ მოძრაობაზე, მის ისტორიაზე თუ შეიძლება ასე ითქვას. სტახანოვური მოძრაობა არის მთელი წინა პერიოდის სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმა. თქვენ კარგად გახსოვთ. როდესაც მუშები აწყობდნენ შაბათობებს, რათა რაც შეიძლება დაჩქარებით შეეკეთებიათ დანგრეული ქარხანა ანდა რკინისგზის უბანი, ან მოეცათ ზედმეტი ვაგონი ნახშირი და შეშა. ეს დიდიხნის წინათ იყო. აიღეთ პირველი ხუთწლედის პერიოდი, როდესაც მშენებელთა დამკვრელი ბრიგადები სასწაულებს ახდენდნენ, აგურის და ბეტონის წყობის მსოფლიო რეკორდებს იძლეოდნენ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობებზე. და, ბოლოს, იზოტოველთა მოძრაობა. იზოტოველთა მოძრაობა წინ უძღოდა სტახანოვურ მოძრაობას. ის ხასიათდებოდა იმით, რომ არა მარტო თვითონ იზოტოველი გადაჭარბებით ასრულებდა ნორმას, არამედ თავის გამოცდილებას აცნობდა სხვებს, თან მიჰყავდა მოწინავე ამხანაგები. სტახანოვური მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, გაუგონარია თავისი მასობრივი ხასიათით, მეორე,—ვითარდება ტექნიკის ღრმა და ყოველმხრივი დაუფლების საფუძველზე. თუ თქვენ, ამხანაგებო, გაიხსენებთ სოციალისტური მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანეს პერიოდს. ამ პერიოდებში სოციალისტური შეჯიბრების საქმე ყოველთვის ვითარდებოდა იმ ლოზუნგებით, რომლებსაც ამხანაგი სტალინი იძლეოდა. და სტახანოვური მოძრაობაც განვითარდა ბრძოლის იმ ლოზუნგით, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა—ბრძოლა ტექნიკის დაუფლებისათვის. და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამხანაგებო, რადგან ახლა საქმეს მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც ტექნიკა სწყვეტს.

ამხ. სტალინმა სთქვა, რომ ტექნიკა უადამიანებოდ, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას, მკვდარია. თქვენი მუშაობით და თქვენი შედეგებით ამტკიცებთ, რომ უკვე კარგად დაეუფლეთ ტექნიკას. თქვენ ჯერ კიდევ უნდა იმუშაოთ და იმუშაოთ თქვენს თავზე იმისათვის, რომ ნამდვილად დაეუფლოთ ტექნიკას. ამ საქმეში ძალიან უნდა დაგეხმარონ ჩვენი ქარხნების და ფაბრიკების ინჟინრები, ტექნიკოსები.

მე, ამხანაგებო, სასაყვედუროდ არ მინდა ვუთხრა დირექტორებს, ინჟინრებს და ტექნიკოსებს, რომ შრომის ახლებურად ორგანიზაციის პრობლემის, შრომის ნაყოფიერების გადიდების პრობლემის გადაწყვეტა დაიწყეს არა იმდენად ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა, რამდენადაც თვით მუშებმა, სტახანოვებმა, ბუსიგინებმა, კრივონოსებმა, დემჩენკოებმა და სხვებმა (ტაში). ოდნავადაც არ მინდა, ვიმეორებ, ვუსაყვედურო ეს ინჟინრებს და ტექნიკოსებს. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ტექნიკოსები და ინჟინრები ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ შრომის ახლებურად ორგანიზაციის საქმეზე. თუ დღემდე ინჟინრებს, ტექნიკოსებს და ქარხნის დირექტორებს, ყველას ერთად, არ გაუკეთებიათ თავისთვის სტახანოვური მოძრაობიდან ყველა შესაფერი დასკვნა—მაშინ, რასაკვირველია, სტახანოვური მოძრაობის საქმე ნელა წავა წინ. მაშასადამე, ახლა საქმე ქარხნის დირექტორებზე, ინჟინრებზე, ტექნიკოსებზეა. მათ ახლა უნდა გაშალონ მუშაობა სტახანოვური მოძრაობის ირგვლივ, მტკიცედ ჩაებან მასში და დაეხმარონ ამ საუკეთესო ადამიანებს წინ წავიდნენ უფრო მეტი წარმატებებით. მე ვფიქრობ, რომ პარტიულ ორგანიზაციათა, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა მხრივ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სხვა, არანაკლებ სერიოზული ზრუნვა, რომ სტახანოველთა ეს დიადი მოძრაობა არ შეფერხდეს, არამედ წინ წავიდეს. ეს არის ზრუნვა ამ მოწინავე ადამიანების შემდგომ კულტურულ ზრდაზე,—ადამიანების, რომლებიც უძღვებიან და რაზმავენ მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

აი, ამხანაგებო, ყველაფერი ის, რის თქმაც მინდოდა თქვენთვის ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანებისთვის მოდით, ჩვენი პარტიის, ჩვენი ბელადის და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წინ წავიღოთ ძლევის დროშა. უფრო დიდი წარმატებებისაკენ, უფრო მეტი მიღწევებისაკენ. (ტაში. ყველა დელეგატი ფეხზე დგება და მიესალმება ამხ. პოსტიშევს).

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 268

იასნაია პოლიანაში

მოსკოვი, 19 ნოემბერი (ტელეგრაფით საქ. კორ.) გუშინ დილიდან იასნაია პოლიანას აუარებელი ხალხი მიაწყდა. მეზობელ კოლმეურნეობებიდან მოდიან მოსწავლეთა ექსკურსიები. ქვის კოშკებთან, სადაც ერთ დროს ჩერქესი ყარაულობდა მამულში შესავალს, ჩერდება საბარგო ავტომობილები მოდიან კოსოგორსკის მეტალურგიული ქარხნის, ტულის თოფის ქარხნის მუშები, წითელარმიელები და მოსკოვის სხვადასხვა დელეგაციები, უცხოელი ტურისტები.

ლენინის მითითებით აქ ყველაფერი შენახულია იმ ფორმით და იმ სალებავებით, როგორც ეს 25 წლის წინათ იყო, ტოლსტოის გარდაცვალების დღეს. იგივე საკარმიდამო ნაგებობანი, მუხა გრაფის სახლის წინ, ზარი. აი სახლი, სადაც დაიწერა „ომი და ზავი", „ანნა კარენინა". ფართო სინათლიან სასადილო ოთახში თეთრ სუფრა გადაფარებულ მაგიდაზე აწყვია ჭურჭელი, გრაფინი წყლით. გარეთ უკვე ბნელა. ცისფერ აბაჟურიანი ლამფა ანათებს ორ როიალს, ჭადრაკის მაგიდას, ფართო სავარძელს, რომლებსაც ჩვენ მრავალრიცხოვანი ფოტოგრაფიებით ვიცნობთ. თითქოს ტოლსტოის ოჯახი ჯერ კიდევ ელოდება სტუმრებს ვახშმად, როიალის ყვითელ კლავიშებს კი აგერ-აგერ აათამაშებს ტანეევის ანდა ვანდა ლანდოვსკაიას თითები.

ლევ ტოლსტოის კაბინეტში საწერ მაგიდაზე სდგას სამელნე, ბრინჯაოს ძაღლი და დევს დაწერილი, ჯერ კიდევ გაუგზავნელი წერილი. საწოლ ოთახში რკინის უბრალო საწოლთან სდგას მაგიდა, რომელზედაც აწყვია წამლები და ბორჯომის წყლის ბოთლი. გრაფის ამ დიდი სახლის ყოველი კუთხე დაკავშირებულია დიდი მწერლის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან.

აი, რეპინის სურათზე ალბეჭდილი ოთახი, სადაც დაიბადენ „ომის და ზავის" გმირები, აი ანნა კარენინას ოთახი, აი, შკაფები ურიცხვი წიგნებით, რომლებზედაც ალბეჭდილია მწერლის ხელი. აი, ფანჯარა, საიდანაც სევდიანი გასცქეროდა ღამის წყვდიადს სოფია ანდრეევნა და, აი, კიბე, რომელზედაც ჩადიოდა ღამით სახლიდან გაპარული ტოლსტოი.

ტოლსტოის მეეტლე ადრიან პავლეხძე ელისეევი, რომელიც ახლა საცხენეს განაგებს იასნაია პოლიანაში, მოგვითხრობს, თუ როგორ დაუკაკუნა მას ფანჯარაზე ლევ ნიკოლოზისძემ და უბრძანა წაეყვანა სადგურ შჩეკინოში.—მე ჯერ შევშინდი,—იგონებს ახლა ელისეევი—მაგრამ ტოლსტოის ქალიშვილმა მითხრა, რომ [illegible] მომიყვანს ამ მდგომარეობიდან სოფიანდრიას ასულის წინაშე მე წავიყვანე.

შემოდგომის შავი ღამეები. იასნაია პოლიანას გლეხები იპარებიან გრაფის ტყეში ხეების გასაჩეხად. დილით მოურავა მიათრევდა გლეხებს გაბრაზებულ სოფია ანდრიას ასულთან. ეზოში მტირალი გლეხი-ქალი ევედრებოდა მოურავს გამოეშვა მისი ძროხა და ხბო, რომლებიც გრაფის ბაღში დააკავეს. „მე ვწუხვარ—ეუბნებოდა ტოლსტოი გოლდენვეიზერს,—რომ მონაწილე ვარ ამისა და ვერ შევძელი ჩემი ამ ცხოვრებიდან განცალკევება".

ლატაკი იასნაია პოლიანა ახლა ტოლსტოის გარდაცვალების 25 წლის თავს კულტურული, ბოლშევიკური კოლმეურნეობით ხვდება. ჩალის სახურავები შესცვალა კრამიტმა, სოფელი დაიხერა მშვენიერი გზებით, სუფთა ქოხებში ახლა ელექტრონის შუქი ანათებს. კოლმეურნე სერგეი ვავილოვმა შეიძინა პატეფონი ილიჩის ლამპარი ანათებს ყველა ქოხში. ქუჩაზე გრუხუნით მიგორავს ტრაქტორი. გაყვანილია წყალსადენი, თეთრად ანათებს ტოლსტოის სახელობის სკოლის ორსართულიანი შენობა. გზატკეცილზე მიდიან მღებავები, რომლებმაც დაამთავრეს ტოლსტოის სახელობის საავადმყოფოს რემონტი. ეს საავადმყოფო ერთერთი საუკეთესოა მოსკოვის ოლქში.

იასნაია პოლიანამ მოიპოვა თავისი ნათელი ცხოვრება. ის დღეს დიდი სიყვარულით სცემს პატივს რევოლუციის წინადროინდელ უდიდეს მწერლის, გენიალური შემოქმედის, ტოლსტოის ხსოვნას,—ტოლსტოის, რომელმაც თავის განუმეორებელ რეალისტურ სახეებში ასახა ძველი რუსეთი, ამ სახეებს ობიექტიურად არ შეეძლოთ არ ემხილებიათ მეფურ-მემამულური დახავსებული სოციალ-პოლიტიკური სისტემა.

ამხ. მიქოიანის სიტყვა

(დასასრული)

ადამიანების მეთაურობით, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია მოახდინოს და კიდეც უნდა მოახდინოს სასწაულები".

თვალსაჩინო წარმოდგენა რომ გვქონდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღიური ნორმის 12,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას, უნდა ვთქვა, რომ შაქრის ყველა ქარხანაში ჭარხლის გადამუშავების დღიური ნორმის ერთი პროცენტის გადაჭარბებით შესრულება იძლევა იმდენ დამატებით პროდუქციას, რამდენსაც იძლევა შაქრის ერთი დიდი ახალი ქარხანა ან ორი საშუალო ქარხანა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ქარხანაში ნორმის საშუალოდ 12,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებით ჩვენ დამატებით მივიღებთ იმდენ შაქარს, რამდენსაც მივიღებდით შაქრის 13 ახალი მძლავრ ქარხნის აგებით, ხოლო თვითეული ახალი ქარხანა ხომ 20—25 მილიონი მანეთი ჯდება.

რამდენ შაქარს მივცემთ ჩვენს ქვეყანას მიმდინარე საწარმოო სეზონში? როდესაც ამხანაგმა ორჯონიკიძემ, რომელიც იმხანად შვებულებაში იყო, წაიკითხა შაქრის მრეწველობის მუშაკთა თათბირზე სექტემბერში წარმოთქმული და გაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი სიტყვა, მან წერილი გამომიგზავნა. იგი მწერდა: „წავიკითხე შენი სიტყვა. კარგი სიტყვაა, მე იგი ისე გავიგე, რომ შაქარი ბევრი იქნება".

სხვა ამხანაგებიც მეკითხებოდნენ: „რამდენ შაქარს მოგვცემთ"? მაშინ მე კიდევ მეშინოდა ბევრი დაპირება მიმეცა. მაგრამ ვამტკიცებდი, რომ ჩვენ უეჭველად მივცემთ წელს იმდენ შაქარს, რამდენიც ჩვენს ქვეყანას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია (ტაში).

შაქრის მაქსიმალური პროდუქცია ჩვენ გვქონდა 1930 წლის საწარმოო სეზონში — 108.8 მილიონი ფუთი, მეფის დროს შაქრის მაქსიმალური რაოდენობა 1914 წლის სეზონში იყო 103 მილიონი ფუთი ხოლო მიმდინარე წელს ჩვენ მივცემთ ქვეყანას შაქრის ისეთ პროდუქციას, რომელიც ბევრად აღემატება რეკორდულ მეოცდაათე წელს.

ლიუბჩენკო. ხომ არ შეიძლება უფრო ზუსტად?

მიქოიანი. 1932 წლის საწარმოო სეზონში ჩვენ დავამზადეთ 48 მილიონი ფუთი შაქარი, 1933 წ. — 67 მილიონი ფუთი, 1934 წელს — 78 მილიონი ფუთი, 1935 წლის სეზონში ჩვენ მივცემთ ჩვენს ქვეყანას 125 მილიონ ფუთს და მეტსაც (ტაში).

სტალინი. ცოტაა. საჭიროა 130 მილიონი ფუთი.

მიქოიანი. მე ვფიქრობ, ამხანაგ სტალინის ამ დავალებას ჩვენ შევასრულებთ და 130 მილიონი ფუთი შაქარი გვექნება (ტაში). აი ასე ამოსწურავს მუდამ ამხანაგი სტალინი ჩვენს რეზერვებს (სიცილი, ტაში).

მძიმე მრეწველობა დიდიხანია ფეხზე დადგა და მთელი ჩვენი ქვეყანა გრძნობს მის სიმძლავრესა და ძალას, ხოლო ყველაზე სასიამოვნო წელს ის არის, რომ, წარსული წლებისაგან განსხვავებით, ჩვენ გვაქვს მრეწველობის ყველა დარგის: მძიმესი, კვების, სატყეოსი, მსუბუქის საერთო აღმავლობა. ბამბის მოსავალი წელს კარგია და ბამბეულის მრეწველობას, რომელსაც ჰყავს ისეთი საუცხოო დამკვრელი სტახანოველები, როგორიც არიან დუსია და მარუსია ვინოგრადოვები, შეუძლია სწრაფი ტემპებით წავიდეს წინ და მოგვცეს სულ მეტი და მეტი მანუფაქტურა.

კვების მრეწველობას ჰყავს ისეთივე საუცხოო სტახანოველები, როგორც მძიმე და მსუბუქ მრეწველობას. კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგის სტახანოველები ამ შეკრებაზე ვერ ჩამოვიდნენ. ჩვენი მეთევზეები წყნარ ოკეანეზე, ყინულოვან ოკეანეზე, კასპიის ზღვაზე არიან. ისინი თევზს იჭერენ და არ შეეძლოთ ამ თათბირზე მოსულიყვნენ. შაქრის მრეწველობის მუშები გახურებულ მუშაობაში არიან ჩაბმულნი ჭარხლის გადასამუშავებლად.

კვების მრეწველობის იმ სტახანოველთა სახელით, რომელნიც ამ თათბირს ვერ ესწრებიან, მაგრამ არა თავისი მიზეზით, ნება მიბოძეთ გადავცე მხურვალე სალამი სტახანოველთა პირველ საკავშირო ყრილობას (ტაში).

შაქრის მრეწველობის ყველა სტახანოველთაგან შრომის უმაღლესი ნაყოფიერება გვიჩვენა კალინინის სახელობის ქარხნის მუშამ ამხანაგმა ლიტვინენკომ, რომელიც მუშაობს ვაკუუმ-აპარატებზე, სადაც შაქრის ჭარხლის წვენს აორთქლებენ. ჩვეულებრივ ერთი მუშა ორ აპარატს უწევს მომსახურებას. ამხ. ლიტვინენკო მარტო უწევს მომსახურებას ექვს აპარატს და ექვსივე აპარატზე გადაჭარბებით ასრულებს ნორმას. უნდა ითქვას, რომ ვაკუუმ-აპარატის მუშა მაღალი კვალიფიკაციის მუშაა, არსებითად პრაქტიკოსი-ქიმიკოსი. ისეთი სტახანოველები, როგორიც არის ამხ. ლიტვინენკო, ახლა შაქრის ქარხნების უმეტესობაშია.

ამხ. კოროტკოვმა — მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის" მუშამ, კვების მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის ერთერთმა პირველმა წამომწყებმა, გააორკეცა წარმოება იმ საკონდიტრო მანქანაზე, რომელსაც იგი უწევს მომსახურებას.

ამხ. ჩისარენკომ, რომელიც მარილის შახტში მუშაობს, ბურღვის ნორმის გაორკეცებას მიაღწია.

თამბაქოს ფაბრიკა „იავას" მემანქანე ნინა ვოლკოვა და ლენინგრადის თამბაქოს ფაბრიკის მუშაქალი გრუნია ივანოვა, რომელიც ამ თათბირზე გამოვიდა, თამბაქოს ფაბრიკებში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორები არიან. ამხ. ივანოვა მუშაობს სამ სწრაფმბრუნავ მანქანაზე ნაცვლად ორისა, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს ნორმას და ცვლაში ამუშავებს 226 ათას პაპიროსს, ნაცვლად 140 ათასისა.

ამხ. ნინა ვოლკოვა მუშაობს 6 გილზის მანქანაზე, ნაცვლად ოთხისა, და იძლევა 430 ათას გილზს, როდესაც ნორმა 241 ათასია.

ოდესის ვოროშილოვის სახელობის საკონსერვო ქარხნის მუშა-ქალმა ამხ. ბიტიუგოვამ და სადგურ კრიმსკაიას საკონსერვო კომბინატის მუშა-ქალმა ამხ. კრივიცკაიამ მიაღწიეს თავის აგრეგატებზე გამომუშავების ნორმის თითქმის გაორკეცებას. ამხ. ბიტიუგოვა, რომელიც ნახევრადავტომატურ თუნუქსალუნავ მანქანაზე მუშაობს, მიაღწია ცვლაში 20 ათასზე მეტი ქილის გამოშვებას, ჩვეულებრივი 11 ათასის ნაცვლად. ამხ. კრივიცკაია ცვლაში ხარშავს 16 ტონა მაღალხარისხოვან ტომატს, ნაცვლად 8 ტონა ჩვეულებრივი ნორმისა.

ამხ. ვოლკოვმა, მოსკოვის ხორცკომბინატის ბრიგადირმა სალახემ თავისი ბრიგადა შეამცირა 20 სალახამდე ნაცვლად წინანდელი 30 სალახისა. ხოლო ორჯერ მეტ საქონელს ჰკლავს, ვიდრე 30 სალახის დროს.

ამრიგად, სტახანოვური მოძრაობა ზედიზედ ედება მრეწველობის დარგებს. ახლა მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში გამოდიან თავისი გმირები, რომელნიც იბრძვიან სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნების მაღალი ნაყოფიერებისათვის. აბობოქრდა მთელი ჩვენი ქვეყანა. ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი თავისუფალი შრომის ქვეყანა წავა წინ გოლიათური ნაბიჯებით და გადაიქცევა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაყოფიერების ქვეყნად, ყველაზე მაღალი ტექნიკის ქვეყნად, ბედნიერი კულტურული ცხოვრების ქვეყნად, ხოლო ჩვენი წითელი არმია კლიმ ვოროშილოვის მეთაურობით კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალიზმის უძლეველ ქვეყნის თავდაცვას (ხანგრძლივი ტაში. „ვაშას" ძახილი).

ნავთლუღიდან ფეხსაცმელები მოდის...

ფოტო შ. ფურცხვანიძისა

სურათზე: ფეხსაცმელების ქარხნის საერთო ხედი (შუაში), კონვეირიდან პირველი ფეხსაცმელების მიღების მომენტი (წრეებში).

ნავთლუღის ტიალი მინდვრები დღითიდღე იცვლიან სახეს; წამოიზარდნენ ფაბრიკა - ქარხნების შავი მილები, რკინა-ტიხობის და ქვის კედლები, მუშათა საცხოვრებელი სახლები...

ხორბლის საფქვავი კომბინატის ცამდე აწევდილ კედლებსა და ქაღალდის ფაბრიკას შუა 1933 წლიდან შენდება ფეხსაცმელების გიგანტური ქარხანა.

ამ დღეებში ამუშავდა ამ გიგანტის პირველი რიგი. ფართო და ნათელ დარბაზებში, სადაც სხვადასხვა სისტემის ასეული მანქანა მუშაობს, გრძელ კონვეიერებთან გამწკრივდა 440 მუშა. თვალის დახამხამებაზე ბრუნავს ათასეული ხრახნილი და დაუსრულებელი ღვედები ატრიალებენ საკერავი მანქანების პატარა ბორბლებს.

ერთი მანქანის შეჩერება, ერთი ხრახნილის ცუდად მორგება, ერთი მუშის ცუდი მუშაობა აჩერებს მთელ კონვეიერს, მთელ ქარხანას—ასეულ მუშას. ამიტომაა, რომ სამუშაოს მწარმოებელი უფროსი ინჟინერი ამხ. გ. **ეპშტეინი** და საწარმოო ნაწილის გამგე ამხ. **ნესტერევი** გულდასმით ათვალიერებენ ყოველ დაზგას და ხრახნილს, საამქროს უფროსები დაკვირვებით უხსნიან მუშებს სამუშაოს ყოველ წვრილმანს.

ყველაფერი მზადაა. ნელა ბრუნავს კონვეიერის ფართო ღვედი და თან ზანტად მიათრევს დანომრილ ლურჯ ყუთებს. აბა, კარგად ადევნეთ თვალი, რა სისწრაფით იკერება აქ ფეხსაცმელი გამძლე და ლამაზი.

შევდივართ პირველ დარბაზში. აქ დაზგებზე ჰყრია ტყავები, იჭრება თარგები, სარჩულები, მზადდება სხვადასხვა ნაწილი.

აი, მუშამ გამოსჭრა ზომაზე ფეხსაცმლის ზედაპირი და ჩააგდო პატარა ყუთში. კონვეიერმა ყუთი წუთში მეორე მუშამდე მიათრია, ამან შიგ ჩაუმატა სარჩული და გაჰქრა ყუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ლურჯი ყუთი 167 კაცის ხელში გაივლის და ას სამოცდამერვე მუშა ყუთიდან უკვე გაწმენდილს და გამშვენიერებულ ფეხსაცმელებს ამოიღებს, ჩაალაგებს დიდრონ ყუთებში და ეს ყუთებიც კონვეიერული სისტემით საწყობისაკენ წავა.

გიგანტის პირველმა ნაწილმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა, მან ოქტომბრის საზეიმო დღეს ახალი ფეხსაცმელები შეაგება. ყოველდღე ერთი წყება მუშაობით გამოდის 900 წყვილი ფეხსაცმელი.—ასეთია ამ ქარხნის დღევანდელი სიჩქარე.

ქარხნის ყველა მანქანა დამზადებულია საბჭოთა კავშირში. აქ ყოველი სამუშაო მექანიზებულია.

ამ გიგანტის მშენებლობა დამხმარე ნაგებობებით და მუშათა ბინებით დაჯდება 31,5 მილიონი მანეთი. იგი დასრულდება 1936-37 წელს და ყოველწლიურად მოგვცემს 6.200.000 წყვილ ფეხსაცმელს. ქარხანაში იმუშავებს 4.700 მუშა.

ნავთლუღიდან ფეხსაცმელები მოდის...

შ. ფ.

მოწაფეთა გართობა

ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო სახკინოსთან, სახ. ცირკთან და მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებთან მოწაფეთა მომსახურებისათვის.

სახ. ცირკი გამოსასვლელ დღეებში მოწაფეთათვის აწყობს დღის წარმოდგენებს. 50 პროცენტით ფასდაკლებული ბილეთები 30 წარმოდგენისათვის განაწილდება სკოლის დამხმარე საბჭოებს შორის. საზამთრო არდადეგების დროს ცირკში ყოველ დღე გაიმართება დღის წარმოდგენა. ამასთანავე მოწაფეთა ყველა ბილეთი 1 მანეთი ეღირება.

კინოთეატრებში მოწაფეთათვის ყოველდღე გაიმართება დღის სეანსები. გამოშვებული იქნება სპეციალური შეღავათიანი აბონემენტები ბავშვებისათვის.

ტფილისის განათლების განყოფილებას გათვალისწინებული აქვს ანალოგიური ხელშეკრულებები დასდოს აგრეთვე სახოპერასთან, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

ტფილისის მე-15 სანიმუშო ქართული სკოლის ფრიადოსანი მოწაფე თამარ ჩოგუა განსახკომის გარდამავალი დროშით, რომლითაც დაჯილდოვებულია მე-15 სკოლა

მწერლები კოლხეთში

საქართველოს რადიოკომიტეტის დავალებით, მწერლები ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და ქ. ლორთქიფანიძე მიემგზავრებიან შემოქმედებითს მივლინებაში კოლხეთმშენში.

კოლხეთის მასალებზე მწერლები საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის რადიოთი გადასაცემად ამზადებენ კომპოზიციას „ახალი და ძველი სოფელი".

საქფილეგთის საზამთრო თეატრი

მომავალ წელს ტფილისში დაიწყება საქფილეგთის საზამთრო თეატრის შენობის აგება. საზამთრო თეატრში მოთავსდება მუსიკ-ჰოლი და ოპერეტის თეატრი.

ალიოხინ-ეივეს მატჩი

ამსტერდამი, 18 ნოემბერი. მე-20 პარტია მოიგო ეივემ. მატჩის ანგარიში 10,5—9,5 ალიოხინის სასარგებლოდ. (ადს).

5.000 ტონა ნავთი ტფილისისათვის

„აზნევტესბიტის" საქართველოს კანტორაში მიღებული ცნობებით, ამჟამად ტფილისისათვის გარდაბანისა და ნავთლუღის სამარაგო რეზერვუარებში მომარაგებულია 5.000 ტონა ნავთი. მიუხედავად ასეთი ჭარბი მარაგისა, ქალაქში არსებული ნავთის სავაჭრო ქსელში ნავთი ხშირად საკმაოდ არა აქვთ, რაც იწვევს ქსელის მუშაობის შეფერხებასა და რიგებს სავაჭრო წერტებთან.

რითი აიხსნება, რომ ნავთის სავაჭრო დუქნებსა და საწყობებში ხშირად არა აქვთ ნავთი? ამის შესახებ „აზნევტესბიტის" საქართველოს კანტორაში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი ცნობები გადასცეს:

— სავაჭრო ქსელში ნავთის განაწილება ხდება ცისტერნებიანი ავტომობილებით. ქსელში, რომ მუდამ ჰქონდეთ ნავთის მარაგი, საჭიროა ცისტერნიანი 12 ავტომობილი. კანტორის განკარგულებაში კი დღემდე ექვსი ავტომობილი იყო და მიუხედავად განუწყვეტელი მუშაობისა, ექვსი მანქანით მთელი ქსელის მომარაგება ვერ ხერხდებოდა. ქალაქში სულ ნავთის 60 სავაჭროა და თითო ავტომობილს მომსახურება უნდა გაეწია 6 სავაჭროსათვის.

ამავე დროს, ნავთის ქუჩებში დასატარებლად ჩვენ გვყავს 60 ცისტერნიანი ფურგონი. ფურგონები ნავთს ღებულობენ ტფილისის სადგურის მახლობლად მდებარე რეზერვუარიდან, რომელიც 170 ტონა ტევადობისაა. ეს რეზერვუარი, რომ გამოილევა, ფურგონებიც დგებიან, სანამ რკინიგზა არ მოგვცემს ცისტერნებს გარდაბანიდან ნავთის გადმოსატანად. გადავწყვიტეთ ფურგონებით ნავთის გადმოზიდვა ქალაქში მოგვეგვარებინა ნავთლუღის რეზერვუარებიდან, მაგრამ რეზერვუარებთან მისასვლელი გზის უვარგისობის გამო ჯერჯერობით ეს შეუძლებელი ხდება.

19 ნოემბერს დამატებით მივიღეთ ახალი ცისტერნიანი 2 ავტომობილი. ეს შესამჩნევად გაგვიადვილებს ნავთის გადმოზიდვას ქალაქში და სავაჭროები ამიერიდან უკეთ იქნებიან მომარაგებული. 19 ნოემბრიდან დუქნებში ნავთის მიზიდვა ღამით იწარმოებს, რომ დღით ვაჭრობა აღარ დაბრკოლდეს. გარდა ამისა, 20 ნოემბრიდან ქუჩებში გასასყიდად ვუშვებთ ნავთს ცისტერნიანი ფურგონებით. ამგვარად, უახლოეს დღეებშივე ქალაქის მომარაგება ნავთით სავსებით მოწესრიგდება.

სპორტი

ორი შეჯიბრება ფეხბურთში

საქართველოს საპროფკავშირო პირველობის გათამაშებამ სოხუმელი ფეხბურთელების თამაშის მშვენიერი ხარისხი გამოამჟღავნა. ბათომისა და ფოთის გუნდების დამარცხების შემდეგ სოხუმელებმა პირველობის გათამაშების ფინალში ადვილად დაამარცხეს ტსოკ-ის გუნდი — 4:0 და მოიპოვეს პროფკავშირთა შორის საქართველოს პირველობა.

18 ნოემბერს დინამოს ახალ სტადიონზე შესდგა შეჯიბრება ა.-ქ. პირველ ნაკრებსა და სოხუმის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მოპირდაპირეებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს. ორივე გუნდის მცველები კარგად იგერიებენ იერიშებს, რის გამო პირველი განყოფილების უმეტესი ნაწილი სტადიონის ცენტრში მიმდინარეობს. ნაკრები გუნდის ფეხბურთელები დრო-გამოშვებით არღვევენ სოხუმელთა მცველების რიგებს და საფრთხეს უქმნიან უკანასკნელთა კარებს თამაშის მეოცდახუთე წუთზე სოხუმელები ჯარიმდებიან და **მიჩაევს** 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი გააქვს სოხუმის კარებში. პირველი დამარცხების შემდეგ სოხუმელებს მთელი რიგი იერიშები მიაქვთ ნაკრების კარებზე, მაგრამ მეკარე მაკაგონოვის მოხდენილი თამაში ყოველ მათ ცდას უშედეგოდ სტოვებს.

მეორე განყოფილებაში ინიციატივა ნაკრებ გუნდის ხელშია. თამაში მთლიანად სოხუმელების ნახევარზე მიმდინარეობს. ერთერთი იერიშის დროს ყალიჩავს გააქვს მეორე ბურთი. შემდეგ შესამჩნევი ხდება ნაკრები გუნდის უპირატესობა. თამაშის ბოლომდე მათ შესძლეს კიდევ ერთი ბურთის გატანა და, ამრიგად, თამაში დასრულდა 3:0 ა.-ქ. ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

ამავე დღეს შესდგა ა.-ქ. მეორე ნაკრებისა და სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. თამაში დასრულდა 2:2.

ივანე ფირცხალავას ხსოვნის უკვდავსაყოფად

ძველი ენთუზიასტი ბოლშევიკის ამხ. ივანე ფირცხალავას ხსოვნის უკვდავსაყოფად, საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქის კომიტეტის და ქალაქის საბჭოს მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი:

ფოთის მუშების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების სურვილის თანახმად, ამხ. ი. ფირცხალავა დაკრძალეს ა.-წ. 5 ნოემბერს ნავსადგურის გემშეკეთებელი ქარხნის ეზოში, თვალსაჩინო ადგილას.

დამკრძალავი კომისიის შუამდგომლობით ფოთის საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ფირცხალავას ხსოვნის უკვდავსაყოფად დაადგინა: ნავსადგურის მთავარ ქუჩას ეწოდოს ამხ. ივანე ფირცხალავას სახელობის ქუჩა.

გემ „მუსონს" ეწოდოს „ივანე ფირცხალავა".

პოლიტექნიკური შრომის ტექნიკუმში დაარსდეს ამხ. ი. ფირცხალავას სახელობის ორი მუდმივი სტიპენდია.

ამხ. ფირცხალავას ძეგლის დადგმის საკითხის გადაწყვეტამდე, მისი საფლავის დროებითი შემოფარგვლა დაევალა ნავსადგურის სამმართველოს სამკუთხედს.

ქალაქკომის ბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე ამხ. ფირცხალავას პერსონალური პენსია მთლიანად მიეცეს მის კმაყოფაზე მყოფ ორ მცირეწლოვან შვილს და ამხ. ივანეს თანამებრძოლ მეუღლეს (კომპარტიის წევრი 1919 წლიდან), ამხ. ნინო ფირცხალავას.

ქრონიკა

— სახ. უნივერსიტეტში (ლიტ. ფაკულტეტის ოთახი), 22 ნოემბერს საღამოს 8 ს. შესდგება შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომა. მოხსენებას წაიკითხავს **დ. ჯანელიძე** თემაზე: **„როგორ მუშაობდა ი. ჭავჭავაძე"**. დასწრება თავისუფალია.

შემთხვევები

● **რეციდივისტის შეპყრობა.** დააპატიმრეს შრომა-გასწორების ბანაკიდან გაქცეული რ. პ. ლაბაძე, რომელსაც [illegible] ქურდობისათვის მისჯილი აქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

● **გაუფრთხილებელი სვლა.** 300 არაგველის ქუჩაზე ნებადაურთველი სისწრაფით მიმავალი ავტომობილი № 14—47 დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს. მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

● **ხანძარი.** ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგურის შენობაში (პლეხანოვის ქ. 150), გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად ჩააქრო ცეცხლმქრობმა რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

● **ქურდობა.** ბოძებიდან სატელეფონო მავთულის ქურდობისათვის შეიპყრეს გ. ი. რეხვიაშვილი (მელიქიშვილის ქ. № 9).

● **ჯიბგირობა.** რუსთაველის პროსპექტზე მაღაზიაში მოქ. კერვალიშვილს (თხინვალის ქ. 20). მოჰპარეს საათი. ბოროტმოქმედები პ. მ. კანდელაკი 14 წლისა და ს. მ. სტეპანენკო—16 წლისა, შეიპყრეს. მოპარული საათი დაზარალებულს დაუბრუნეს.

● **ხულიგნების დაპატიმრება.** ჩხუბისა და მოქალაქეთა შეურაცყოფისათვის შეიპყრეს დ. ს. მახარობლიძე (ვასერის ქ. 1), ჩხუბისა და სროლისათვის დააპატიმრეს ა. პ. წერეთელი (ეგოროვის ქ. 9). ორივე მოჩხუბარი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

[illegible]	დღეს 1 აბონემ. 3 წარმოდგენა ბალეტი ფერინჯი დადგმა ვ. ა. ლიტვინენკოსი. მხატვარი ე. ახვლედიანი. დირიჟორი ბ. [illegible]	22 ნოემბერს 4 აბონ. 4 წარმოდგენა პრემიერა ალი მონაწ. ე. ბოჭოლიშვილი ა. სტეფანიანი ვ. ივანოვსკი, რ. ლოპატკინი	23 ნოემბერს მე-14 აბონ 3 წარმოდ. ფაუსტი და ვალპურგის ღამე მონაწ. ვ. მალკოვა, ვ. გალანოვა, გ. ვეზაძე, ვ. ივანოვსკი, დ. მჭედლიძე.

სავალდებულოა მეოთხე შესატანი ძველი აბონემენტისათვის

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი	დღეს 12 აბონ. 2 წარმოდ. ს. შანშიაშვილის ანზორ	22 ნოემბერს 1 აბონემ. 2 წარმ. ს. შანშიაშვილის ანზორ	23 ნოემბერს სტალინის სახ. სას.-სამ. ინსტ. 9 აბონ. 2 წარმოდ. ფ. შილერის in tirannos

ამ დღეებში პრემიერა—ა. კორნეიჩუკი—პლატონ კრეჩეტი.

მესამე გადასახადი სავალდებულოა

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის თეატრი		
	21 ნოემბერს წარმოდ. № 23	განურჩევლად პიროვნებისა
	22 ნოემბერს წარმოდ. № 24	განურჩევლად პიროვნებისა

დასაწყისი სალ. 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

სახკინმრეწვის კინოთეატრები		
	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი „გემის გზა" პროგრამის გარეშე—ჟურნალი № 26.
	დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 ფოიეში სიმფ. ორკესტრი	ახალი ხმოვანი ფილმი „შვიდი ბარიერი" პროგრ. გარეშე—„ავიაციის დღე, მე-18 ოქტომბერი"
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30 8-30, 10-30 სეანსები დღის 12 ს-დან	ახალი საზღვარგარეთული ფილმი „პეტრო" (პეტერ) პროგრამის გარეშე—„ყაზბეგის იერიში"
	„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი მოხუც ლუვენის ქოხი

სახ. ზოოტექნიურ-ვეტერინარული ინსტიტუტი
აცხადებს,
რომ ზოოტექნიური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტ-დიპლომანტებმა სადიპლომო შრომები აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ა.-წ. 1 დეკემბრამდე. სადიპლომო შრომების დაცვა დაიწყება 10 დეკემბრიდან

იმ სტუდენტებმა, რომელთაც ჩაუბარებელი აქვთ საგნები, უნდა ჩააბარონ 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაშვებული არ იქნებიან სადიპლომო შრომის დასაცავად. 1932-33 წელში კურსმოსმენილ სტუდენტ-დიპლომანტებისათვის სადიპლომო შრომების დაცვის სესიები დაიწყება ა.-წ. 1 დეკემბრიდან და დასრულდება 10 დეკემბერს."

11393 დირექტორი: ს. თოხაძე.

საქკვებვაჭრობა
ჰყიდის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებზე და განსაზოგადოებულ სექტორებზე შემდეგ სამშენებლო მასალას,
(სამშენებლო საწყობი, მუხრანის ქუჩ. № 1)

მინა „ფურკო", ზომა 25×35 ს მ.—65×100-დე 1000 კვ. მეტ.; ტორფის ფურცლები იზოლაციისათვის 2500 კვ. მეტ., რკინა „კურგალი" არმატურის 1/2 „3/8" 500 კგრ., სარკეები სადა ზომის 25×35 ს მ.—35×60-დე 120 ცალი, ძველი ფანჯრის და კარების ჩარჩოები კარებებით, მაგიდები პატარა ბავშვებისათვის, ახალი 6 ცალი; სავარძელი დიდი, ნიკელის, ტყავგადაკრული 3 ცალი.

საწყობი ღიაა ყოველდღე დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე

საქმინწყლის ტფილისის განყოფილების მიერ მიღებულია
ახალი სამკურნალო
მინერალური წყლები
„ზვარე"
„სკური"
„ძაუსუარი"
აგრეთვე მიღებულია ფრიად მარგებელი ჰიგიენური სასმელი კობის წყარო ნარზანის ტიპისა „ყაზბეგი".
გაყიდვა სწარმოებს საქმინწყლის ტფილისის განყოფილების მაღაზიაში, რუსთაველის გამზირი, № 12 და ყველა კიოსკში. 537

სარეწაო კოოპერატიულ არტელ „საფეიქროს" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ა.-წ. 24 ნოემბერს, დღის 2 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება არტ. „საფეიქროს" ქონება, პანასვეჩის ქუჩაზე № 10, საალნაგო წესით აგებული შენობა, საამქროები მოწყობილობით, ინვენტარი და სხვა, შეფასებული 94 000 მანეთად.
თუ 24 ნოემბერს საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ვაჭრობა გადაიდება 26 ნოემბრის დღის 2 საათისათვის.
11393 ლიკვიდკომი.

საჭირონი არიან
გამოცდილი უფროსი ბუხჰალტრები და ეკონომისტი-მგეგმავები
„საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.
ხელფასი შეთანხმებით. სავალდებულოა ცნობის წარმოდგენა სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან. მიმართეთ საქ. ამხ. „საქართველოს ჩაის" მთავარ ბუღალტერს—ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 25. 435

გაუბედურებული მშობლები: ანეტა და სერაპიონ, ძმა მუხრანი ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველა ნაცნობ მეგობარს ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება უძვირფასესი
თამარ (კვაკუშა) სერაპიონის ასულ სიხარულიძის
დაკარგვის გამო. [illegible]

ბიძა ალექსანდრე, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები: ისიკ, თამარ, რძალი ვერიკო იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ასპირანტი
შალვა ლავრენტისძე ხვინგია
დაკრძალვა მოხდა აბასთუმანში. 11398

დამწუხრებული მეუღლე კოლია სალიაშვილი და შვილი პატარა ჯემალი იუწყებიან საყვარელი
ანიკო (ანა) დორეული—სალიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 ნოემბერს საღ. 6 საათზე. დაკრძალვა 23 ნოემბერს. უფ.

გაზ. „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რედაქციის თანამშრომელს ამხ. კოლია სალიაშვილს მისი მეუღლის
ანიკო სალიაშვილის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 23 ნოემბერს. უფ.

მეუღლე ოლღა, შვილები: ბაბუცა, თამარ, ქეთო, კოლია, ვახტანგი, სიძე შალვა ჯაფარიძე შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 22 ნოემბერს, 4 საათზე ქუთაისში დანიშნულია დაუვიწყარი
ალექსი ნიკოლოზისძე ქვანტალიანის
სამოქ. პანაშვიდი. 11400

მამა ხოხონია, ძმები: ილიკო, დიმიტრი, ვასო ტყეშელაშვილი ალექსანდრე, ბესო ტყეშელაშვილი ალექსანდრე რთველაძე იუწყებიან
თომა ჩიკვილაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 ს. კოტე მესხი, 2. კუკიის სასაფლაოზე. 11397

ქმარი ალექსანდრე, შვილი მზიული, მაზლები: გერმანე, ვალიკო, ალიოშა, დათიკო, დედამთილი და მამამთილი: ნადო, ბიჭიკო იუწყებიან დაუვიწყარი
ალიკო ხვადაგიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22 ნოემბერს, 4 საათზე პლეხანოვის, 197. [illegible]

ქალიშვილი გუგული, სიძე ფილიპე თოიდუა ლამარაძე მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დედის
იუცუ ქაჯაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 ნოემბერს, ქ. სამტრედიაში. 11404

ფლორდოსი, ლევან და ოთარ ჭოლოშვილით. ნინო და ბიჭიკო მწუხარებით იუწყებიან
ელისაბედ (ლიზა) ალექსანდრეს ასული ჭაშელის
გარდაცვალებას ქ. მახარაძეში, 19 ნოემბერს. 11405

კასპის მტს-ის თანამშრომლები: შალვა ცინცაძე, თამარ გელიაშვილი, დვითოშვილი, ლობჟანიძე, მეცხვარიშვილი, გიორგობიანი, ავალიშვილი იუწყებიან მტს-ის დირექტორის პ. კირვალიძის აღმზრდელი ბიძის
ალმასხან ქაიხოსროსძე კირვალიძის
გარდაცვალებას. 11403

ტფილისის სახუნის ეკ.-ფაკ. მესამე კურსის 72 ჯგუფის სტუდენტობა იზიარებს ამავე ჯგუფის სტუდენტ ალიოშა მელაძის მწუხარებას მისი მამის
არჩილ (ეზიკოს) მელაძის
გარდაცვალების გამო. 11402

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული 8209.